პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 136 (11442)
კვირა
14
ივნისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი რიგიდან გამოემგზავრა

რიგა, 13 ივნისი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის რიგიდან გამგზავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 12 ივნისს მონაწილეობა მიიღო ლატვიის სსრ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა თათბირში. დღის მეორე ნახევარში ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა რიგის ზღვის ნაპირის კურორტები და კემერი.

დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი თვითმფრინავით გაემგზავრა მოსკოვში. ლატვიის დედაქალაქის მშრომელები გულთბილად გამოეთხოვნენ ძვირფას სტუმარს. აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ე. კალნბერზინმა, ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ი. სნეჩკუსმა, ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გ. კებინმა, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. მ. ოზოლინმა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა.

* * *

ნ. ს. ხრუშჩოვი იმავე დღეს ჩავიდა მოსკოვში.

არ დავკმაყოფილდეთ პირველი წარმატებებით

„კომუნისტის" დღევანდელ ნომერში ქვეყნდება საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულების შესახებ მიმდინარე წლის 10 ივნისისათვის.

როგორც ციფრები ცხადყოფენ, საქართველოს მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა მიერ მოპოვებულია პირველი თვალსაჩინო წარმატება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 10 ივნისისათვის მოკრეფილი იყო 56.861 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 11.936 ტონით მეტი. რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება შესრულებულია 42,8, ხოლო მაის-ივნისის გეგმა — 92,9 პროცენტით. არ შეიძლება სიხარულით არ აღავსოს საქართველოს მშრომელთა გული ჩაის ფრონტზე მოპოვებულმა ამ პირველმა თვალსაჩინო წარმატებამ.

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მეჩაიეებმა მთელი ქართველი ხალხის სახელით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას პირობა მისცეს, რომ შვიდწლედის პირველ წელს — 1959 წელს მოკრეფენ და მრეწველობას გადასამუშავებლად გადასცემენ 140.000 ტონა ჩაის ნედლეულს; ჩაის პლანტაციების გაფართოებით, მათი მოვლა-პატრონობის ყოველმხრივ გაუმჯობესებით შვიდწლედის ბოლოსათვის უზრუნველყოფენ 200.000 ტონა ჩაის ფოთლის მიღებას, რის შედეგადაც მთლიანად დააკმაყოფილებენ ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მოთხოვნილებას ჩაიზე. ცალკეულმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, მოწინავე მეჩაიეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

და აი, მაისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო დიდი ლაშქრობა 140.000 ტონა ჩაისათვის! მახარაძელთა ძვირფას თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მეჩაიეობის რაიონების მშრომელებმა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. როგორც სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, ჩაის ფოთლის კრეფის დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, ტყიბულის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ხობის, აბაშისა და მთელი რიგი სხვა რაიონები. აღნიშნული რაიონების მშრომელებმა მაის-ივნისის გეგმა 20 დღით ადრე შეასრულეს, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანეს 140.000 ტონა ჩაისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის საქმეში.

არც მეჩაიეობის სხვა რაიონებს უმუშავნიათ ცუდად. მაგრამ ზოგიერთი მონაცემები მოწმობენ, რომ აქა-იქ ადგილი აქვს ფოთლის კრეფის ტემპის ერთგვარ შენელებას. შევჩერდეთ კონკრეტულ ფაქტზე. მაისის უკანასკნელ ხუთდღიურში რესპუბლიკაში სულ მოკრეფილ იქნა 14.881 ტონა ჩაის ნედლეული, ივნისის პირველ ხუთდღიურში — 7.870 ტონა, მეორე ხუთდღიურში (5-10 ივნისი) — 8.277 ტონა. განა ამ მონაცემებიდან არა ჩანს, რომ ფოთლის კრეფის ტემპი მაისთან შედარებით შენელდა, ხოლო ზოგიერთ რაიონში სამარცხვინოდ ჩამორჩა?!

ამ მდგომარეობიდან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც შვიდწლედის პირველი წლისათვის იკისრეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა, საქართველოს ყველა მშრომელის საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს, რადგან მისი შესრულება მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახელისა და ღირსების საქმეა. აკი ასეც მიიჩნიეს საქართველოს არასუბტროპიკული რაიონების მშრომელებმა. ასობით სტუდენტი, მოსწავლე და მრავალი სოფლის კოლმეურნეები მეგობრულად ეხმარებიან მეჩაიეობის რაიონებს მოზღვავებული ჩაის ფოთლის კრეფაში. ეს იმას ნიშნავს, რომ 140.000 ტონა ჩაისათვის ბრძოლის ბედი ერთნაირად საკუთარ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ მახარაძელ და ახალციხელ, ოჩხამურელ და ადიგენელ, ზუგდიდელ და ცაგერელ, საერთოდ მეჩაიეობისა და არამეჩაიეობის რაიონების მშრომელებს.

კიდევ უფრო უნდა გავაფართოოთ ჩაისათვის ბრძოლის ფრონტი, ოდნავაც არ შევანელოთ ფოთლის კრეფის ტემპი, არ გაგვიტაცოს მოპოვებულმა პირველმა წარმატებამ, არ მივეცეთ თვითდამშვიდებას და თვითკმაყოფილებას. პირიქით, ახლა უფრო მეტად არის საჭირო მძლავრი შემოქმედებითი შრომის ახალი აზვირთება, მოწინავეებისათვის მხრის გასწორება და ჩაის ფრონტზე ახალ-ახალი ზღუდეების აღება.

ზოგიერთი რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში შემჩნეულია ჩაის პლანტაციებისადმი უყურადღებობისა და მიუტევებელი გულგრილობის ფაქტები. არც თუ ისე იშვიათად შეხვდებით ეკალბარდებით, ქასრათი და სხვა სარეველებით დაფარულ პლანტაციებს. არა გვგონია ამას არ ამჩნევდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგები კოლმეურნეობებში ყოფნის დროს, არც ის გვინდა დავიჯეროთ, რომ ისინი სათანადო მითითებებს არ აძლევდნენ კოლმეურნეობათა მესვეურებს დასარევლიანებული პლანტაციების წესრიგში მოყვანაზე. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ჯერ კიდევ არის ასეთი პლანტაციები. საერთო საქმის ინტერესი მოითხოვს მზრუნველობით მოვეკიდოთ თვითეულ პლანტაციას, დავაწესოთ მკაცრი კონტროლი ეკალ-ბარდებისა და სარეველებისაგან მათს გაწმენდაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლანტაციებში მინერალური სასუქების მეორე დოზის შეტანას. ამასთან ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ჩაის პლანტაციებისათვის განკუთვნილი სასუქები არავითარ შემთხვევაში არ იქნას გამოყენებული სხვა დანიშნულებისათვის.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების მრავალი რეზერვი ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული. საჭიროა თვალყური ვადევნოთ, რათა მთლიანად იკრიფებოდეს შემოსული ფოთოლი, განსაკუთრებით ყრუ დუყები.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოქმედებს ჩაის ფოთლის კრეფის იგივე ნორმები, რაც მაისში იყო. ასეთი გათანაბრება არ უნდა დავუშვათ. კოლმეურნეობები ნორმებს უნდა აწესებდნენ საკრეფად შემოსული ფოთლის რაოდენობის მიხედვით და არა ძველი ნორმების მექანიკურად გადმოტანით.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ღირსეულად გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს და პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, — სულ უფრო მზარდი რაოდენობით მისცემენ სამშობლოს განთქმული ქართული არომატული ჩაის პროდუქციას.

140.000 ტონა ჩაისათვის

საქართველო—ჩინეთი

სურათზე: ტატიანა ტყებუჩავა.

ფოტო ი. სეფიაშვილისა.

წერილი ცნობილ ჩინელ მეჩაიეს ჯან ცინ-ხეს

კარგად ვიცი, რომ ჩინეთში ფართოდ არის განვითარებული ჩაის კულტურა და მას რამდენიმე ასეული ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს.

ამას წინათ ჩემი ყურადღება მიიპყრო გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა, რომელსაც აქვს წარწერა: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ხუნშანის (სისიანის მაზრა, ანხუეის პროვინცია) სახალხო კომუნის წევრი ჩაის მკრეფავი **ჯან ცინ-ხე დღეში 250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.** სურათზე: ჯან ცინ-ხე თავის მუშაობის მეთოდს აცნობს დუნძის მეჩაიეთა სკოლის მოსწავლეებს".

— დღეში 250 კილოგრამი ჩაი! ნამდვილად დიდი მიღწევაა, რეკორდია, ჩინელო მეგობარო მეჩაიევ! ამან აღმიძრა დიდი სიყვარული თქვენდამი, მეც მეჩაიე ვარ, ვმუშაობ საქართველოს სსრ ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობაში. ვუვლი 0,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და ყოველწლიურად ამ ფართობზე ვიღებ 11-12 ათას კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. წელს ვალდებულება მაქვს ნაკისრი მოვკრიფო 18.000 კილოგრამი ჩაი. სისტემატურად დღეში ვკრეფ 200-250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

ძალიან მაინტერესებს თქვენი შრომისა და ცხოვრების ამბები. ამიტომ გთხოვთ გამოეხმაუროთ ჩემს წერილს, ერთმანეთთან დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა, შევეჯიბროთ ერთმანეთს შრომაში, მეტი ჩაისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხს ძმასავით უყვარს ჩინელი ხალხი. ძვირფასო ჯან ცინ-ხე! სალამი და კეთილი სურვილები გადაეცით სახელოვან ჩინელ მეჩაიეებს.

ტატიანა ტყებუჩავა,
საქართველოს სსრ, ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის მეჩაიე.

შეჯიბრებაში ჩაბმულ რაიონებში

12 ივნისი

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 340 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან 12.162 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 2.100 ტონით მეტი.

ქობულეთის რაიონის მშრომელებმა მოკრიფეს 220 ტონა ფოთოლი, სეზონის დაწყებიდან — 7.161 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 434 ტონით მეტი.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 140 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 7.100 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 1.773 ტონით მეტი.

გალის რაიონის მშრომელებმა მოკრიფეს 82 ტონა ჩაი, სეზონის დაწყებიდან 5.200 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 1.225 ტონით მეტი.

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში



ქობულეთი. ხულიე ცინარიძემ სოფელ აჭყვის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 133 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 35 კილოგრამისა, ნათელა ჯაფარიძემ — 94 კილოგრამი, ემინე ვერულიძემ სოფელ ფიჭვნარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში — 170 კილოგრამი, ხოლო მერი დეკანოიძემ — 119 კილოგრამი ჩაი.

გეგეჭკორი. ჟუჟუნა აროსიამ თამაკონის კოლმეურნეობაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი, ხოლო მალალო დანელიამ სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობაში — 90 კილოგრამი ნაცვლად 25 კილოგრამისა, ნაირა ბარათელმა — 70 კილოგრამი, მიმინა დანელიამ — 95 კილოგრამი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1959 წლის 10 ივნისისათვის

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	შესრულება პროცენტობით: წლიური გეგმისა	შესრულება პროცენტობით: მაის-ივნისის გეგმისა
სულ აჭარის ასსრ	38,2	81,3
სულ აფხაზეთის ასსრ	45,4	103,1
მახარაძის რაიონი	42,9	91,2
ჩოხატაურის	48,2	102,6
ლანჩხუთის	43,4	94,3
სამტრედიის	42,2	91,7
წულუკიძის	44,0	95,7
წყალტუბოს	52,8	114,5
ტყიბულის	54,1	117,7
ცხაკაიას	47,0	103,4
აბაშის	48,5	105,1
გეგეჭკორის	43,2	96,1
ზუგდიდის	40,0	87,0
ჩხოროწყუს	43,3	94,1
წალენჯიხის	40,5	87,9
ხობის	46,0	100,0
თერჯოლის	63,5	138,0
ზესტაფონის	73,3	183,3
ქალ. ქიათურა	77,4	192,0
ვანის რაიონი	45,0	112,5
ქალ. ფოთი	33,3	100,0
სულ საქართველოს სსრ-ში	42,8	92,9

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უკრაინაში

კიევი, 12 ივნისი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა მოკლე ხნის დასვენების შემდეგ ვიზიტი გაუკეთეს უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ვ. პოდგორნის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დ. ს. კოროტჩენკოს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ტ. კალჩენკოს. გაიმართა მეგობრული საუბარი.

შემდეგ დელეგაციის წევრები ორ ჯგუფად გაიყვნენ და დაიწყეს ქალაქის გაცნობა.

საღამოს პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები იყვნენ ბალეტზე „ტყის სიმღერა" ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

კიევი, 13 ივნისი. (საქდესი). დღეს ნაშუადღევს კიევის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის მრავალათასიანი მიტინგი.

სიტყვები წარმოთქვეს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით მიტინგის მონაწილეებს მიესალმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი.

გერმანელი ხალხის და კიევის მშრომელთა წარმომადგენლებს მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი.

სილამაზისა და სიჭაბუკის ზეიმი

მიმდინარე სასპორტო სეზონს სამართლიანად უწოდებენ გრანდიოზულ ასპარეზობათა, ანუ სპარტაკიადების წელს. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხეში წარმატებით მოეწყო მასობრივი შეჯიბრებები — სარაიონო, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადები, ახლა კი მიმდინარეობს უძლიერესთა შეხვედრები — რესპუბლიკების სპარტაკიადები.

ეს სპორტული ზეიმი ყველგან მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის ნიშნით მიმდინარეობს, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, ჭაბუკებსა და გოგონებს ახალ-ახალი ცვლილებები შეაქვთ რეკორდების ცხრილში.

ლამაზად მოურთავთ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალური სასპორტო ბაზა — „დინამოს" სტადიონი. მის მისადგომებზე, იარუსებზე ფრიალებენ ნაირფერი ალმები, დიდ ტილოებზე ვკითხულობთ ლოზუნგებს, მისასალმებელ სიტყვებს.

6 საათია. მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, კ. ნ. გალიცკი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე.

სტადიონის სამხრეთ ტრიბუნიდან ფანფარები გვამცნობენ სპარტაკიადის გახსნას. მოედანზე შემოდის სამი ცხენოსანი. გამოჩნდნენ მოზეიმე სპორტსმენები — რესპუბლიკის სპარტაკიადის დასკვნით ასპარეზობაში მონაწილენი.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მოსავლის აღებამ დაცდა არ იცის

„კომუნისტის რეიდი"

პურეული სიმწიფეში შედის კასპში. მოსავალს კარგი პირი უჩანს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში უკვე მზად არის ტექნიკა მოსავლის ასაღებად, შედგენილი აქვთ სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი. მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ ყველგან როდია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მოსავლის აღებისათვის მზადებაში.

სოფლის თავში ნამჯის ზვინებთან ღია ცის ქვეშ დგას „სტალინეც-6" მარკის ორი კომბაინი ისე, როგორც მინდვრიდან მოუტანიათ. ეს ძვირფასი მანქანები სოფელ ნიგოზას კოლმეურნეობას ეკუთვნის. თოვლსა და წვიმას დაუძანგავს. ჯერ კომბაინებისათვის ხელი არ მიუკარებიათ, შეკეთება არ დაუწყიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ბედოშვილი გულდამშვიდებით ამბობს: — კომბაინები რომ შესაკეთებელია, მეც ვიცი, მაგრამ რა ვქნა, ვეღარაფერს გავხდითო.

ამ კოლმეურნეობაში ერთი კომბაინერიც აკლიათ. კომბაინერი სჭირდებათ ქვემო ჭალის კოლმეურნეობაშიც.

მოსავლის აღებისათვის მზადება ცუდად მიმდინარეობს სოფელ ქვემო ხანდაკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში. არ დაუწყიათ კომბაინების შეკეთება. შესაკეთებელი აქვთ ტრაქტორებიც. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ა. თხინვალელი) და პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ზ. ოთიაშვილი) გადამჭრელ ზომებს არ იღებენ მანქანების შეკეთებისათვის. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ სამთავისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. უზნაძე).

მოსავლის აღებისათვის ცუდად ემზადებიან სოფელ ახალქალაქის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. დანდუროვი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. გოგიბერიძე). მართალია, მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი ღია პარტიულ კრებაზე განიხილეს, მაგრამ დადგენილება ქაღალდზე დარჩა, საქმე წინ არ იძვრის. ჭიანურდება კომბაინების შეკეთება.

სოფელ ჩობალაურის კოლმეურნეობაში კომბაინერ ს. მაჭარაშვილს ვესაუბრეთ.

— რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, — გვითხრა მან, — გავაკეთეთ. მაგრამ აი გავჩერდით, ზოგიერთი ნაწილი არა გვაქვს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურში ვიყავით და ვერც იქ ვიშოვნეთ.

ეს ფაქტი ერთეული როდია. კომბაინის სათადარიგო ნაწილების უქონლობაზე საყვედურს გამოთქვამენ სხვაგანაც. სამთავისის სარემონტო-ტექნიკურ სადგურს არა აქვს „სტალინეც-6" მარკის კომბაინისათვის ხვავის ტრანსპორტიორები, მეორე წმენდის ცხავები, ცელის ბარბაცების კომპლექტი, ნამჯის შემგროვებლის ღერძები და სხვ. ამ ნაკლოვანების გამოსწორებისათვის გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

რაიონის კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი აქედანვე სათანადო მზრუნველობას არ იჩენს მექანიზებული კალოების მოსაწყობად. ბევრ კოლმეურნეობას სამმისო მანქანებიც კი არა აქვს, ხოლო ვისაც აქვს (ქვემო ჭალის, სამთავისის, კასპის კოლმეურნეობები), მოუვლელია.

სარემონტო-ტექნიკურ სადგურს მიღებული აქვს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად მარცვლის საწმენდი 3 ცალი მანქანა „ოსმ-3მ", 14 ცალი სანიავებელ-დამხარისხებელი მანქანა „ვს-2", 6 ცალი მარცვლის მტვირთავი მანქანა „ზ3-40", მაგრამ მათ არავინ ყიდულობს.

სიტყვამ მოიტანა, და აქვე უნდა ითქვას, რომ კასპის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექცია (უფროსი ი. საათაშვილი) კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებს მოსავლის აღებისათვის მზადებაში.

ნაკლოვანებებია სასაწყობო მეურნეობის მომზადებაშიც. კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს აკლია ტომრები. ეს ითქმის ახალქალაქის, კოდისწყაროს, ყარაღაჯის და სხვა კოლმეურნეობებზე.

მოსავლის აღებამ დაცდა არ იცის. მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის საჭიროა წინასწარ გულმოდგინედ მომზადება. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ კასპის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა.

ა. ბექაურიშვილი, — კასპის რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ" რედაქტორი, **ი. ბარდაძე** — კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის აგრონომი, **დ. სილაგაძე** — სამთავისის სარემონტო-ტექნიკური სადგურის მთავარი ინჟინერი, **გ. ხორგუაშვილი** — პარტიის კასპის რაიკომის ინსტრუქტორი, **ი. ხეჩოევი** — სოფელ ახალქალაქის კოლმეურნეობის აგრონომი, **ნ. ცაგარეიშვილი** — სოფელ კავთისხევის კოლმეურნეობის აგრონომი, **მ. ხეთაგური** — „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გუგუნებენ მინდვრის ხომალდები

რეპორტაჟი

ალაზნის მადლიან ველზე კარგა ხანია, რაც გაზაფხულმა ფარხმალი დაყარა და მთებს შეაფარა თავი. ზაფხულმა გაიმარჯვა, სიცხის ალმური დატრიალდა. ხორბლისა და ქერის ნათესებს ოქროს ფერი დაედო. თავთავებმა თავი დახარეს, მომკელთ უხმობენ.

ალაზნისა და ივრის ველებზე, შირაქსა თუ ტარიბანაში გაყვითლებულ ქერის ყანებს წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა გარშემო ბალახი შემოთიბეს, მინდვრის ხომალდები ჩააყენეს, საწყობები და კალოები მოამზადეს.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას თავთავიანი კულტურები 2.482 ჰექტარზე უთესია. მათ შორის 350 ჰექტარი ქერია. იგი სრულ სიმწიფეში შევიდა. ალაზნის ველზე, „ენამთის" ჩრდილოეთით პირველი აგუგუნდა თვითმავალი კომბაინი „სტალინეც-4". საჭესთან არის შალვა კოტოშვილი, რომელიც ტხუთმეტ წელზე მეტია, რაც მინდვრის ხომალდებს ამუშავებს. პირველ დღეს თვრამეტი ჰექტარი მომკა, ბუნკერიდან 360 ცენტნერი ქერი გადმოტვირთა.

— წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა, — განაცხადა მ. კოტოშვილმა, — მოგვიწოდეს ვიმუშაოთ ახლებურად, შვიდწლედის შესაფერისად. ინიციატივა ჩინებულია, მივესალმებით. ოც ჰექტარზე ნაკლებს არცერთ დღეს არ მოვმკი.

ფვალუწვდენელ ველზე ალექსი ყოჩიაშვილის „სტალინეც-6" მარკის კომბაინის აგრეგატიც აგუგუნდა. ალექსი ახალგაზრდაა. მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ მკაში არავის არ ჩამორჩება. დღეში ოცი ჰექტარი მოსავლის აღებას იგი სასახელოდ არა თვლის, ცდილობს აგრეგატის დღიური წარმადობა 25 ჰექტარამდე აიყვანოს. აიყვანს კიდეც! ამას მისი მუშაობის პირველი შედეგები ადასტურებს. ერთ დღეში ბუნკერიდან ოთხასამდე ცენტნერი ქერი გადმოტვირთა. აგრეგატის წარმატებაში ტრაქტორისტს გიორგი ნატროშვილსა და მეშტურვალე გიორგი პავლიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვით.

ქერის ყანებში ჯაფარიძელთა კომბაინის თორმეტი აგრეგატი გუგუნებს. მოსავლის აღების „შტაბში" მკის პირველი დღეების შედეგები შეაჯამეს. მოწინავეობა ერთმა კი არა, ყველამ დაიმსახურა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა მოსავლის აღების „ფრონტი" შეამოწმა, უბის წიგნაკში შენიშვნები გააკეთა და მინდვრის ხომალდების მეთაურები მოიხმო. მუშაობა არცერთისათვის არ დაუწუნებია, მაგრამ ის კი უთხრა, „ღამეც უნდა იმუშაოთო". იმუშავებენ, სამმისოდ ყველაფერი მომზადებულია.

— როგორი მოსავალი გაქვთ, მეტი ხომ არ იყო წინა წლებში? — ვკითხეთ თავმჯდომარეს.

— სანამ მოსავალი ბეღელში არ დაბინავდება, სიუხვეზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ასეთი მოსავალი თითქმის არასოდეს არ ყოფილა. ჰექტარზე საშუალოდ ოც ცენტნერზე ნაკლებ ხორბალსა და ქერს არ მივიღებთ.

* * *

კომბაინის აგრეგატებს ერთი შემოვლაც არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ მინდორში 30 ურემი მოვიდა. კოლმეურნეებმა ნამჯა შეაგროვეს, ურმებზე დატვირთეს და მეცხოველეობის ფერმებთან წაიღეს.

არც ტრაქტორისტებმა დააყოვნეს, გაწმენდილ ნაკვეთებს ხნავენ და სიმინდს თესავენ. გიორგი შარმაზანაშვილმა ნაწვერალზე პირველი ოცი ჰექტარი სიმინდი დათესა. მარტო ნაქერალზე ჯაფარიძელები 300 ჰექტარ სიმინდს დათესავენ.

მკიან, მოსავალს აბინავებენ, ხნავენ და თესავენ. დაილოცოს ჯაფარიძელთა მარჯვენა!

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გეგმების შესრულება

წულუკიძის რაიონმა 10 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა: ხორცისა — 152,2 პროცენტით, რძისა — 101,5 პროცენტით, კვერცხისა — 104,3 პროცენტით.

ბოლნისის რაიონმა, რომელიც სომხეთის სსრ კოტაიკის რაიონს ეჯიბრება, ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა: ხორცისა — 102,3 პროცენტით, რძისა — 122,5 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით, ტყავნედლეულისა — 110,1 პროცენტით.

აბაშის რაიონმა ვადაზე ადრე — 10 ივნისისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა: ხორცისა — 125 პროცენტით, რძისა — 100,8 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით.

ჩოხატაურის რაიონმა 10 ივნისისათვის 102 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისისა და ივნისის გეგმები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს ჩააბარა 628 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. (საქდესი).

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი (მარცხნივ) და აგრონომი დ. ლვინიაშვილი ამოწმებენ ქერის მოსავალს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, შვიდწლედის მძლავრი სუნთქვა

საუბარი გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარესთან ი. ე. მაქსარიოვთან



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. მას აქვს ორი განყოფილება: საერთოსაკავშირო და რესპუბლიკური პავილიონებისა, მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის განყოფილებანი.

გამოფენის 211 ჰექტარი ფართობის უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებულია 300-ზე მეტი ნაგებობა, აქედან 71 პავილიონი, რომელთაგან 18 პავილიონი ორგანიზებულია ხელახლად. მრავალი ექსპონატი ასახავს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის შესანიშნავ ნაყოფს, გვიჩვენებენ, თუ იყენებენ რა მეცნიერების უახლეს მიღწევებს, სრულყოფილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე, როგორ ვითარდება ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. გამოფენაზე ჩვენებისათვის მომზადებული მასალები მოგვცემენ ფართო წარმოდგენას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ.

გამოფენის მთავარი პავილიონი ხელახლა გაფორმებულია. ექსპოზიციაში ასახულია საბჭოთა ხალხის მსოფლიოისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. რესპუბლიკების პავილიონებში, წარსული წლებისაგან განსხვავებით, უჩვენებენ არა მარტო სოფლის მშრომელთა წარმატებას, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის ყველა დარგის მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს.

მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებას უკავია 18 პავილიონი. მომზადებულია საჩვენებლად დაახლოებით 36 ათასი ექსპონატი, აქედან ათას ნიმუშისაზე მეტი მანქანა, ჩარხი და მოწყობილობა, დაახლოებით 2.000 ხელსაწყო და აპარატი. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ 73 სახალხო მეურნეობის საბჭო, 1.300 სამრეწველო საწარმო, 350 სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია.

გაიცნობენ რა სამამულო მძიმე ინდუსტრიის — სახალხო მეურნეობის საფუძვლის მიღწევებს, გამოფენის დამთვალიერებლები მიიღებენ წარმოდგენას შავი და ფერადი მეტალურგიის, საავტომობილო მრეწველობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის განვითარების შესახებ. პავილიონში „ქიმიური მრეწველობა" ნაჩვენები იქნება ნაწარმი ხელოვნური და სინთეზური მასალებისაგან.

ჩვენი წარმატებანი ელექტროენერგეტიკის განვითარების დარგში ყოველმხრივ აისახება ახალ პავილიონში — „სსრ კავშირის ელექტროფიკაცია". დამთვალიერებლები რუკაზე ნახავენ, თუ რა გაკეთდა და რისი გაკეთებაა დასახული ამ დარგში 1959-1965 წლებში, როგორ შეიქმნება საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოთხრობას მთავარ მიმართულებაზე ელექტროფიკაციის განვითარებაში შვიდი წლის მანძილზე — თბოელექტროსადგურების მშენებლობაზე.

მდიდარი და საინტერესოა ექსპოზიცია ახალი პავილიონისა — „სსრ კავშირის ტრანსპორტი". თვალსაჩინო ადგილზეა უახლესი საზღვაო და სამდინარო გემების, ელმავლების, თბომავლების, ვაგონების, თვითმფრინავების მოდელები.

საბჭოთა საავიაციო ტექნიკა წარმოდგენილია რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავით „ტუ-104ა". ყველას შეუძლია დაათვალიეროს თვითმფრინავის შიგა მოწყობილობა. აქვე იქნება ნაჩვენები სამგზავრო თვითმფრინავები „იაკ-12", „მი-4", ვერტმფრენები „მ-1" და „კ-15".

სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენში საავტომობილო ტრანსპორტს. გამოფენაზე ნახავთ სხვადასხვა მარკის სატვირთო მანქანებს, აგრეთვე მსუბუქ ავტომობილებს, მათ შორის უმაღლესი კლასის ავტომობილებს — „ზილ-111" და „ჩაიკა".

პრაქტიკისა და მეცნიერების მჭიდრო თანამშრომლობას თვალსაჩინოდ ასახავს ახალი პავილიონი — „რადიოელექტრონიკა".

გამოფენის მთავარი პავილიონის გვერდით დიდ ნათელ შენობაზე ოქროსფრად ბრწყინავს სიტყვა „მეცნიერება". ექსპოზიცია, მიძღვნილი მსოფლიოში პირველი დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებისადმი, ხელსაწყო კონტეინერები მეტეოროლოგიური რაკეტებისა, რომლებიც 452-მდე კილომეტრზე ავიდნენ, — ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმისა, რაც ნაჩვენებია ვრცელ დარბაზებში. ატმოსფეროს ზედა ფენების კვლევის პრობლემები ამჟამად აინტერესებს მთელ მსოფლიოს. საბჭოთა კავშირის მეცნიერთა წარმატებებს ამ დარგში უაღრესად მაღალი შეფასება ეძლევა. დედამიწის სამი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მოდელებთან ერთად პავილიონ „მეცნიერებაში" წარმოდგენილია ყველა ხელსაწყო, რომლებითაც ისინი იყვნენ აღჭურვილი. დაწვრილებით აღწერილია ჩვენს ქვეყანაში რაკეტული ტექნიკის განვითარების ისტორია.

ექსპონატები, რომლებიც ახასიათებენ მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების მეთოდებს, განლაგებულია ორ შენობაში.

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ იზრდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის, საოჯახო ნივთების გამოშვება. იმას, თუ როგორ სრულდება საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანა, მოგვითხრობენ ექსპოზიციები პავილიონებისა: „მსუბუქი მრეწველობა", „აბრეშუმი", „შაქრისა და საკონდიტრო მრეწველობა", „ცხიმ-კარაქისა და გემოვნების მრეწველობა", „პურის საცხობი მრეწველობა", „რძის მრეწველობა", „ხორცის მრეწველობა", „თევზის მრეწველობა, მეთევზეობა და გუბურათა მეურნეობა".

სოფლის მეურნეობას გამოფენაზე დათმობილი აქვს 20 პავილიონი.

ახლად შექმნილ პავილიონ „მიწათმოქმედებაში" მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა გამოცდილებით ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის გაძღოლის რაციონალური მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა. ცალკეული სტენდები და მასალები მიძღვნილია ნიადაგის დამუშავებისადმი კოლმეურნე მეცნიერის ტ. ს. მალცევის მეთოდით, სათოხნი კულტურების მოყვანის კვადრატულ და კვადრატულ-ბუდობრივი წესებისადმი.

უზრუნველვყოთ შვიდწლედის ბოლოსთვის 10-11 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიღება წელიწადში — ასეთია პავილიონ „მარცვლეულის" გაფორმების მთავარი თემა.

სიმინდის მოყვანის მეთოდებისა და მეცხოველეობის განვითარებაში სიმინდის მნიშვნელობის საჩვენებლად შექმნილია სპეციალური პავილიონი.

მაგალითისათვის აღებულია კურსკის ოლქის ხომუტოვკის რაიონის სოფელ კალინოვკის სასოფლო-სამეურნეო არტელი. სიმინდის საშუალებით აქ შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა და მკვეთრად გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმოა პავილიონებში „მარცვლეულის შენახვა და გადამუშავება", „კარტოფილი და ბოსტნეული", „მებაღეობა", „მევენახეობა და მეღვინეობა", „მეფუტკრეობა". დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ხილი და ბოსტნეული, წარმოდგენილია ახალი პერსპექტიული ჯიშები.

გამოფენაზე წარმოდგენილია ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათ შორის 170 ახალი ნიმუში პირველად არის ნაჩვენები.

გამოფენაზე ყოველმხრივ არის ნაჩვენები მოწინავე გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები მეცხოველეობის დარგში.

განყოფილება „მშენებლობის" პავილიონები განლაგებულია ფრუნზეს სანაპიროზე. მათი მასალები მიძღვნილია სამრეწველო, ენერგეტიკული, საბინაო მშენებლობისადმი, საშენ მასალათა წარმოებისადმი.

შვიდწლედის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში დასახულია აშენდეს 15 მილიონამდე ბინა. პავილიონი „საბინაო მშენებლობა" გვაცნობს იმას, თუ როგორ დაიწყო ამ გრანდიოზული პროგრამის შესრულება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მთავარ მიზნად ისახავს აქტიური პროპაგანდა გაუწიოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს.

გამოფენაზე კარგად დასვენებაც შეიძლება. აქ გაიმართება მოსკოველ მსახიობთა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა კონცერტები. გუბურებზე იქნება ნავებით სეირნობა, მოყვარულებს უფლება ეძლევათ ითევზაონ.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ გამოფენაზე ექსკურსანტები. მისი მასალების შესწავლა ხელს შეუწყობს შვიდწლიანი გეგმის დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელებას. (საქინფორმი).

• • •

სურათზე: გამოფენის მთავარი პავილიონი.

გაზი მკვიდრდება ყოფაცხოვრებაში

ბათუმი. (საქ. კორ.). ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მიერ გამოშვებულ თხევად გაზს დიდი გამოყენება აქვს ქალაქის მოსახლეობაში. ამჟამად ბათუმში ათასზე მეტი ოჯახი სარგებლობს გაზის დანადგარით. გაზს იყენებენ აგრეთვე ქალაქის სამრეწველო საწარმოები, დაწესებულებები. დიდი პერსპექტივებია დასახული მომავალში გაზის გამოყენებისათვის. მარტო მიმდინარე წელს ქალაქის 1.500 ოჯახში მოეწყობა გაზის დანადგარი. წელსვე დამთავრდება გაზჩამოსასხმელი სადგურის მშენებლობა, რომელიც მთელი სიმძლავრით 1960 წელს ამუშავდება.

შვიდწლედის განმავლობაში ქალაქის 5.000 ოჯახი მიიღებს გაზდანადგარს. გარდა ამისა, გაზით ისარგებლებენ აჭარის კურორტების კვების საწარმოები. ამ იაფ და მოხერხებულ საწვავზე გადავა აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნების დიდი ნაწილი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს.

შორს არ არის ის დრო, როცა ნავთობგადამუშავების ბაზაზე მიღებული გაზი ჩადგება ჩვენი ლამაზი ზღვისპირა ქალაქის მთელი მოსახლეობის და სამრეწველო და კვების საწარმოთა სამსახურში.

ფელეტონი

ფარდა ახდილია

— დაბრძანდით, დედი წინ დაბრძანდით!..

— არა შვილო! ფეხით წავალ, მეშინია სამსახურში არ დამაგვიანდეს.

— ფეხით წავალო, ეს რა ბრძანეთ, ღმერთი კი მომკალი.

— რა ვიცი, შვილო, გული მაქვს გატეხილი. ღვიძლმა ქალიშვილმა ვერ გამიტანა და სხვას როგორ მივენდო.

— სხვასაო! განა მე სხვა ვარ. დამაცა, დედი, კაცი არ ვიყო, თუ სიძისა და ქალიშვილის მიერ გაბზარული გული არ გაგიმთელო.

— შენ კი გენაცვალე, შვილო!

...როგორც ხედავთ, მეტად სასიამოვნო დიალოგია. დადგენილია მისი თარიღი: „1957 წლის 12 სექტემბერი, დღის 12 საათი და 00 წუთი", ადგილი: „თბილისი, სასამართლოს ქუჩა, 32, სანოტარო კანტორა".

დადგენილია ისიც, რომ ამ ტკბილი საუბრის შემდეგ ცისფერი „ვოლგა" დაძრულა ადგილიდან...

— შენ კი გაიხარე, ჩემო შვილო,— კიდევ ერთხელ უთქვამს მოხუცს, როცა მანქანა მცხეთის ქუჩაზე (№ 180) გაჩერებულა.

— შვილო, შენ შემოდივლე, ნელა წაიყვანე მანქანა სიბერის ჟამი არ გამიმწარო, — დაურიგებია მოხუცს მისთვის ასე მზრუნველი ჭაბუკი და ღიმილით შეუღია სახლის კარი.

ახლა დადგენილია ისიც, რომ ცისფერი „ვოლგა" დაძრულა თუ არა ადგილიდან და მცხეთის ქუჩაზე მტვრის კორიანტელში გახვეულა, ოლღა ჰქონიას თავის ოთახში, ხოლო გრიგოლ აბულაძეს მანქანაში ერთ და იმავე დროს გადუხარხარნიათ.

— მამა უცხონდა — უთქვამს ოლღას, — ჩემი ავლადიდება ღვიძლი შვილებისა და შვილიშვილებისათვის ვერ გამიმეტებია და ვიღაც აბულაძეს დაჩუქო? აი გიდი, ჯერ ფული კარგად ჩაიჯიბო და მერე მე ვიცი...

„ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმინდოს," — მანქანაშივე ალიღინებულა თბილისის მუსიკალური კომედიის მსახიობი გრიგოლ აბულაძე, ჯიბიდან ნოტარიუსის მრავალი ბეჭდით დამოწმებული ერთი თაბახი ქაღალდი ამოუღია და, თვალი ხომ არ მატყუებსო, ხმამაღლა წაუკითხავს: „სახლის განჩუქების განრიგება, დამოწმებული ესე ნოტარიუსის მიერ".

შემდეგ... ისევ ტკბილი მუსაიფი, ისევ მანქანით სეირნობა, დედაშვილობაზე ბაასი...

და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ოლღა ჰქონიას ეზოში გრიგოლ აბულაძემ ორსართულიანი სახლის მშენებლობა დაიწყო.

ოლღამ ერთხელ დაიმარტოხელა აბულაძე და „დედაშვილურად" განუცხადა: „ძვირფასო ჩემო, მე ხომ „გაჩუქე" ეზო და ერთი ოთახი?..

— „მაჩუქე".

— ჰოდა ახლა შენს დედიკოს ახალ სახლში ერთი ოთახი უნდა „აჩუქო".

— რას ამბობ, დედიკავ, იქნებ დაგავიწყდა 70.000 მანეთი რომ „გაჩუქე".

— ცოტაა, შვილო.

— მერე მაშინ რატომ არ თქვი?

— როგორ გეკადრებათ, „ნაჩუქარი" იყო, შვილიკო, და კბილს ხომ არ გაუსინჯავდი.

ასე დაირღვა მშვიდობა მცხეთის ქუჩაზე, № 180 სახლში.

ოლღა ჰქონია ასე „ამკობს" თავის შვილობილს (მომყავს უცვლელად): „გრიგოლ აბულაძეს ორი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული — სამედიცინო ინსტიტუტი და კონსერვატორია. ექიმობას კარგა ხანია თავი დაანება და ამჟამად თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში მსახიობად მუშაობს. მალე ორ პროფესიას ახალი ხელობა დაუმატა: მანქანებისა და ბინების ყიდვა-გაყიდვა. 1946 წელს შეიძინა უცხოეთის მარკის მსუბუქი ავტომანქანა, 1949 წელს „მოსკვიჩი," მერე კერძო პირებისაგან ორჯერ იყიდა და გაყიდა „პობედა". კარგა ხანს „ზიმიც" ჰყავდა, ხოლო 1957 წელს მაგადანელ ბუდიკოვს 65.000 მანეთი მისცა „ვოლგაში".

ახლა ბინებს არ იკითხავთ? გ. აბულაძეს ერისთავის ქუჩაზე ჰქონდა ორი ოთახი, მოსწყინდა და გაყიდა 1952 წელს და საბურთალოში ლვოვის ქუჩაზე შეიძინა დაუმთავრებელი სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, მალე ისიც გაყიდა და 1957 წელს, როგორც ხედავთ, მე შემეყარა და ოჯახი დამიქცია".

თავის მხრივ გ. აბულაძე ასე „ახასიათებს" ოლღა ჰქონიას (მოგვყავს სიტყვასიტყვით): „როცა პირველად ვნახე ეს ჭაღარა სათნო შესახედაობის მანდილოსანი, როცა მოვისმინე მისი საუბარი, სიმართლე გითხრათ, მეგონა უმწიკვლო ვინმე იყო. მაგრამ სულ სხვა აღმოჩნდა. ოთახი თავისი ეზოთი მომყიდა 70.000 მანეთად და ნოტარიუსში ისე გამოფორმებინა ვითომ ვჩუქებინოს. ბოლოს მიჩივლა, ჩუქების ხელშეკრულება გააუქმებინა და როგორც იტყვიან, მშრალზე დამტოვა, თუმცა, რა გასაკვირია, ამ ბინის გამო თითქმის ათი წელი ემდუროდა ქალიშვილსა და სიძეს, უმალავდა, რომ ფული მივეცი, ვინძლო შვილებმა და შვილიშვილებმა არ მომთხოვონო.

ფული რომ მივეცი, ოლღა ჰქონია მაშინ შემპირდა, მალე ჯუმათში საცხოვრებლად გადავალ, ეს კარმიდამო ღმერთმა შენ მოგახმაროსო. და ამ სიტყვებში იქვე რომ არ შემპაროდა, ადგა და ქმრის ნეშტი თბილისიდან ჯუმათში გადაასვენა. მაგრამ ფულის მიღების შემდეგ (იმდენი ტკბილი სიტყვა მითხრა, რომ ხელწერილიც (!) კი არ გამომირთმევია) ყველაფერზე უარი მითხრა, მიჩივლა კიდეც— ხანდაზმული ნებართვით ბინას აშენებსო და მშენებლობა შეაჩერებინა".

ანდაზა ამბობს, მოქნეული ვის გაუზომია, შეიძლება ჰქონიაც აჭარბებდეს და აბულაძეც, გაწიწმატებულნი ერთმანეთის „შემკობაში", იქნებ აბულაძეს მართლაც წმინდა „სპორტული გატაცებით" უყვარს მანქანები და მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „როცა ახალი მარკის ავტომანქანა გამოდის, ვერ ითმენს, თუ არ იყიდა", იქნებ ჰქონიასაც მართლა სურდა ეჩუქებინა ბინა აბულაძისათვის, ქალიშვილთან და სიძესთან უბრალო მყოფს ნამდვილად უნდოდა ჯუმათში საცხოვრებლად გადასვლა და არა სხვა მიზნით, არამედ ამიტომ გადაასვენა მეუღლის ნეშტი თბილისიდან...

მაგრამ შეუძლებელია, ყოვლად მიუღებელია ერთი რამ... ადამიანის გატაცება, სპორტული იქნება იგი, თუ საყოფაცხოვრებო, არღვევდეს საზოგადოებრივი თანაცხოვრების ნორმებს საბჭოთა ადამიანის მორალსა და სინდისს შეურაცხყოფდეს.

განა გ. აბულაძე და ო. ჰქონია სირცხვილისაგან არ წითლდებოდნენ, როცა ნოტარიუსთან აფორმებდნენ „გარიგებას ბინის ჩუქების შესახებ", ან ვინ დაიჯერებს იმას, რომ ოლღა ჰქონია, რომელმაც ქალიშვილს, სიძესა და შვილიშვილებს თავის დროზე ბინის ნაწილიც კი არ დაუმტკიცა, საკუთარ ოთახსა და ეზოს ახლადგაცნობილ აბულაძეს აჩუქებდა. განა ეჭვი ვინმეს შეეპარება, რომ ეს თვალთმაქცური კომედია აბულაძემ და ჰქონიამ საკარმიდამო ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის კვალის შესანიღბავად გაითამაშეს.

მაგრამ „შუბი ხალთაში ვერ დაიმალა", კომედიანტებმა ფარდის დახურვა ვერ მოასწრეს, სცენა განათდა, მათი თვალთმაქცური კომედია უნდა ჩაიშალოს.

გ. ეკალაძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

სამეცნიერო სესია

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ავტომატიზაციის, მექანიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიეძღვნა ამას წინათ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გამართული სამეცნიერო სესია, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა, პარტიის ზესტაფონის რაიკომმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა მოაწყეს. სესია, რომელსაც ესწრებოდნენ ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე ადამიანები, მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრეთვე რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივი, შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ხუსკივაძემ.

სესიამ მოისმინა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატების ს. ბუაჩიძის, ე. ნადირაძის, ინჟინრების რ. ჩაჩანიძის, ი. ბარათაშვილის, გ. სიორიძის, ქარხნის ცვლის უფროსის ბ. მელქაძის, ნოვატორი მუშის ე. ქათამაძის მოხსენებანი, რომლებშიც გაშუქებული იყო საბჭოთა ტექნიკური აზროვნების ზოგიერთი მიღწევა ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები, ფეროშენადნობთა ქარხანაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის საქმეში არსებული წარმატებები და ნაკლოვანებები.

სამეცნიერო სესიამ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის უზრუნველსაყოფად მიიღო ღონისძიება. გადაწყდა კიდევ უფრო განმტკიცდეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივსა და რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა კოლექტივების შემოქმედებითი თანამშრომლობა. ამ მიზნით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შეიქმნა მეცნიერის საგუშაგო. საგუშაგოს შემადგენლობაში შევიდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი სტალინური პრემიის ლაურეატი გ. სიორიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მ. კეკელიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. ნადირაძე, თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი ო. ჩაჩანიძე.

ლ. ლოლაძე.

სამშობლოს გზებზე

სოხუმი. (საქ. კორ.): ნაყოფიერად შრომობს სოხუმის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი, რომელმაც მინიმუმამდე შეამცირა ლოკომოტივების მოცდენის დრო და 35 კილომეტრით გაზარდა ელმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენა. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მძიმე წონის მატარებლების ტარების ოსტატები.

ნოვატორმა მემანქანემ ს. ოდილავაძემ 18 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და ნორმის გადამეტებით 7.600 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდა. 18 მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადატანილი 4.000 ტონა ტვირთია მემანქანე გ. გონგაძის აქტივში.

მართლაც რომ ამაყად ჟღერს...

ნარკვევი

ერთი ჩვევა დამჩემდა: კახეთის რომელ კუთხეშიც უნდა მომიხდეს ყოფნა, უთუოდ მოვინახულებ ალაზანს და ილიას კარ-მიდამოს ყვარელში. აუცილებლად უნდა გადავუხადო ხოლმე სიყვარულის ღალა კახეთის დედა-მდინარეს და ქართული სიტყვის დედაბოძის კოპწია სახლ-მარანს. არ ვიცი რატომ მიმიწევს გული ამ ორი წმიდა ადგილისაკენ. ალაზნისაკენ იქნებ იმიტომ, რომ იგი ილიას მაგონებს, მასავით დინჯი, დამჯდარი მეჩვენება; ილიას სახლისაკენ იქნებ იმიტომ, რომ ამ დიდი ადამიანის სიტყვის დვრიტაც ალაზანივით ხავერიელი და ბარაქიანია.

ამჯერადაც ასე მოხდა, გურჯაანში ერთმა ნაცნობმა ქორწილში დამპატიჟა. იმ ღამეს ერთი სურვილი მკლავდა: მალე გათენებულიყო, რომ ქორწილის მაყარივით მეორე დღესვე ყვარლის გზას დავდგომოდი. მართლაც მტრედისფერი გამოჩნდა თუ არა, განთიადს ავედევნე და ყვარლისაკენ გავწიე. ერთი სული მქონდა, სანამ იქ ჩავიდოდი.

ბინდბუნდზე გავიარე ჩემი საყვარელი სოფლები: ჩუმლაყი და ახაშენი, მუკუზანი და ველისციხე... ველისციხის ბოლოს რომ გავცდები და ალაზანს ახლოს დავიგულებ, თავი უკვე ყვარელში მგონია. მანქანა ახალ ხიდთან გავაჩერე და ალაზნის სიმშვენიერით ერთხელ კიდევ მოვიხიბლე. ყველა ქვეყანა ამაყობს თავისი მდინარეებით. მართალი გითხრათ, ბევრი მდინარე მინახავს, უცხოეთშიც ვყოფილვარ, ევროპაში უდიდესი მდინარე, ცისფერი დუნაიც კი ვნახე, მაგრამ ალაზანი ჩემთვის მაინც სულ სხვაა...

აი ყვარელიც, „მარად უჭკნობი და საყვარელი", აი ილიას სახლ-კარიც. ილიასეულ მარანში სული მოვითქვით. იქვე ეზოში, მოხუცი მეფანდურე ტკბილად ღიღინებს: „ერთხელ ვიყავი ყვარელში, სადაც შობილა ილია..." ერთხელ კი არა, ილიას მამული ასჯერ და ათასჯერაც რომ ნახოს კაცმა, მაინც არ მოსწყინდება.

იმ დღისით ყვარელში დავრჩით. მეორე დღეს თბილისიდან ჩამოსულმა ერთმა მეგობარმა მომინახულა და შემაგულიანა:

— მარტო ყვარელი რომ გიყვარს, ჩვენს მადლიან მიწაზე სხვაც ბევრია კარგი. ხომ კახეთის ყველა სოფელში ყოფილხარ, მაგრამ თავს მოვიჭრი, თუ ახალსოფელი გქონდეს ნახული. წამო ვნახოთ, რა ლამაზი სოფელია, რა გეგმიანად არის გაშენებული!

ჩემი მეგობარი არა ტყუოდა. ზოგჯერ მთელ ქვეყანას დავივლით, თავი გვესახელება — ბუქარესტი, სოფია, პრაღა, ბერლინი ვნახეთო, და ისეთი რამ კი არ გვინახავს, რაც ჩვენს გვერდით არის და მათი უნახაობა არ გვეპატიება. ახალსოფელი არ მენახა. სიმართლე რომ ითქვას, მისი ნახვა ბევრჯერ მქონდა გულში, მაგრამ მდინარე ავანზე გასვლას ვერ ვბედავდი, ამბობდნენ, ძალიან ადიდება იცისო. ასე იყო თუ ისე, ნავსი გატყდა. ყვარლიდან ახალსოფლამდე სულ თხუთმეტიოდე წუთის სავალია, ერთ საათზე მეტი კი ავანზე გასვლას მოვუნდით.

— ყველა მდინარეს ეშველა, მშვენიერი ხიდები გაიდო, ჩვენი ავანის ავანჩავანი კი არავინ გამოჩენილა, — გვითხრა ერთმა მოხუცმა.

ახალსოფელი სწორედ რომ გეგმიანად არის გაშენებული. კახეთში ასეთ სოფელს იშვიათად შეხვდებით. სოფელი დაყოფილია შვიდ მთავარ ქუჩად, რომლებიც ერთმანეთს პარალელურად ლარივით მიჰყვება. წვიმა სცრიდა. სოფელი მაინც სიამოვნებით დავათვალიერეთ. ჩვენმა თანამგზავრმა ამ სოფლის ისტორია მიამბო, მეხუთე საუკუნის შესანიშნავი ძეგლი — ძველი გავაზის ეკლესია მაჩვენა, ძველი ნასოფლარისკენაც გამახედა და მითხრა:

— ახალსოფლის ასე გეგმიანად გაშენებას სოფლის მკვიდრნი ალექსანდრე აფხაზს მიაწერენ. ამ ადგილზე ასი წლის წინათ მისი რჩევით დასახლდა ხალხი, ქუჩებიც მან დაგეგმინა. ამიტომაც ამ სოფლის დამაარსებლად აფხაზი ითვლება. მისი საფლავიც სადღაც ახლოს უნდა იყოს...

მართალაც სასაფლაო არ იყო შორს, ოღონდ საფლავის ადგილის მცოდნე ვინმე გვესაჭიროებოდა, ჩემმა მეგობარმა კი, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა, არ იცოდა, რა ადგილს იყო დამარხული ალექსანდრე აფხაზი. ვისაც კი ვკითხეთ, არც ერთმა არ იცოდა. ბოლოს ცხენზე მჯდარმა ერთმა შავგვრემანმა ბიჭმა გვითხრა, ამ საქმეზე ნიკო ძიას მიაკითხეთ, მის საფლავზე იმან გაკაფა ჯაგები, ეს საფლავი იმან გამოაჩინაო. თქვა და ცხენი სულმოუთქმელად გააჭენა.

ისიც კი ვერ მოვასწარით გვეკითხა, ვინ არის ეს „ნიკო ძია", ან რა გვარია, სად ცხოვრობს. მოდი და ახლა გაიგე ამოდენა სოფელში, სადაც ასობით კომლი ცხოვრობს, ვინ არის ნიკო ძია! მაინც ბედი ვცადეთ და წყაროზე ერთ მოხუც დედაკაცს შევეკითხეთ, იმ იმედით, რომ მას უფრო ეცოდინებოდა ნიკო ძიას სახლი. ჩვენს შეკითხვაზე პასუხი არ დაუგვიანებია.

— თქვენ გინდათ დიბირაანთ ნიკო. ნიკო ძიას ვინ არ იცნობს! ეგემანდ, მესამე ქუჩაში შეუხვევთ თუ არა, ძველი გავაზის ეკლესიის პირდაპირ! — ისე გვიპასუხა, თითქო გვკიცხავდა, ნიკო ძიას როგორ არ იცნობთ, ალბათ აქაურები არა ხართო.

დიბირაანთ ნიკოს ძებნაში დიდი დრო არ დაგვიკარგავს. ჩვენს წინ იდგა ნიკო ხუციშვილი, სამოცდაათ წელს გადაცილებული, საშუალოზე დაბალი ტანის მოხუცი, ცოცხალი, წყლიანი თვალებით, არწივისებური ცხვირით, სახეზე კეთილი ღიმილით. მარტო ახალსოფელში კი არა, მთელ რაიონში განთქმული მეფუტკრე ყოფილა. ჩვენს წინადადებაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. ეს არც გასაკვირებია, ეტყობოდა, პირველი შემთხვევა არ იყო, რომ უცხო ხალხის მეგზურობას კისრულობდა.

ისე როგორც მთელ სოფელში, სასაფლაოზეც წვიმდა, საფლავის ქვაზე ამოკვეთილ, ჟამთა სვლისაგან გაშავებულ ასოებში წყალი ჩამდგარიყო. წვიმის წყალი გადავუშხიპეთ და ძლივს ამოვიკითხეთ:

„აქა განისვენებს ახალსოფლის დამაარსებელი ალექსანდრე სვიმონის-ძე აფხაზი, რომელიც დაიბადა 1823 წელს 21 მარტს და გარდაიცვალა 1885 წელს 2 დეკემბერსა".

ნიკო ძიამ ბევრი რამ გვიამბო ალექსანდრე აფხაზზე. ბოლოს ისიც დასძინა, რომ მისი საფლავის მოვლა-პატრონობა იკისრა და ამ საფლავის შემოღობვა ითავა.

სასაფლაოდან რომ დავბრუნდით, ნიკო ძიამ თავისი კარ-მიდამო დაგვათვალიერებინა. მისი ეზო წალკოტს მოგაგონებთ. თავს იწონებს ათასნაირი ყვავილი, ლიმონი და მანდარინიც კი გაუხარებია მიწით სავსე კასრებში. მაგრამ ნიკოს სიამაყე მაინც ფუტკარია. ძველი, გამოცდილი მეფუტკრე გვერდიდან არ იშორებს ფუტკარს, სიყვარულით დასტრიალებს თავს მათს ოჯახებს.

ნიკო ხუციშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ყვარლის რაიონის მთავარ მეფუტკრე აგრონომად. მეფუტკრეობას ბავშვობიდანვე მისდევს, დიდი გამოცდილებაც შეიძინა, ახალსოფელში პირველად ფუტკარი მან შემოიყვანა. შემდეგ მეფუტკრეობის კურსებიც დაამთავრა და ამ დარგში ტოლი არა ჰყავდა. ახლა მოხუცდა, ძალას არავინ ატანს, მაგრამ თავისი სურვილით კოლმეურნეობაში მუშაობს, ახალგაზრდა მეფუტკრეებს ეხმარება ძვირფასი რჩევა-დარიგებით.

მაგრამ ნიკო ძიას გასაცნობად ეს მშრალი ცნობები სრულიადაც არ არის საკმარისი. მაინც ვინ არის იგი, რატომ სარგებლობს ასეთი პატივისცემით და სიყვარულით მთელ სოფელში? იქნებ, იმით, რომ მისი ფუტკრის თაფლის გემო ახლაც პირში აქვთ აქაურ მცხოვრებთ? ესეც არის, მაგრამ მიზეზი სულ სხვაა.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ამ კაცს დიდი თუ პატარა ნიკო ძიას ეძახის. ოთხმოცი წლის დედაკაციც რომ იყოს, აუცილებლად იტყვის „ნიკო ძიაო". არ არის ისეთი საქმე, რომელიც სოფელში ნიკო ძიას დაუკითხავად კეთდებოდეს.

— ნიკო ძია, ქალს ვირთავ, წამო დამლოცე!

— ნიკო ძია, სახლს ვაშენებ, ფუძე დამილოცე!

— ნიკო ძია, მდინარე ქვაწერში კალმახის დაჭერა მინდა, რა ადგილებს უფრო ეტანება, მიჩვენე!

დაღისტნელ ლეკებსაც კი, რომლებიც აქ ღვინის საყიდლად მოდიან, სახლიდან აბარებენ დიბირაანთ ნიკოსთან მიდით და ის მიგასწავლით კარგ ღვინოსო.

არსებობს თანამდებობა, რომელიც არც ერთი ბრძანებით არ არის გაფორმებული, არც რაიმე ინსტანციას ექვემდებარება. ეს თანამდებობაა სოფლის საყვარელი ადამიანი, სოფლის დედაბოძი. ის არც არჩევითია. ხალხმა თვითონ, თავისი გულის იდუმალი კარნახით უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის სოფელში ასეთი ადამიანი. ნიკო ძიაც არავის აურჩევია ამ თანამდებობაზე. იგი თავისი საქმით, თავისი კაცური კაცობით გახდა სოფლისათვის საყვარელი ადამიანი. ეს არის ყველაზე უმაღლესი თანამდებობა, და გორკის თქმით ხომ „ადამიანი — ამაყად ჟღერს!"

ნიკო ხუციშვილი იყო, ორმოცდაერთის მრისხანე დღეებში თავისი ვაჟიშვილი გიორგი დიდი სამამულო ომის ფრონტზე რომ გაისტუმრა და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დალოცა. მისი შვილი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა, თავისუფლების საქმეს შეეწირა, მაგრამ ეს მძიმე განსაცდელი ნიკომ ვაჟკაცურად გადაიტანა, რადგან იგი ადამიანია.

ნიკო ხუციშვილი იყო, დიდი სამამულო ომის დროს წითელი არმიის საჰაერო და ჯავშანსატანკო ძალების ფონდში თავისი პირადი დანაზოგიდან 65.000 მანეთი რომ შეიტანა.

...სოფელში ფართოდ ჩაღდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. კულტურის სახლი აშენდა და მშენებლებს მთავარ მრჩევლად ნიკო ძია ჰყავდათ. ახალი გზები გაჰყავთ თუ ქუჩებსა და ეზოებს ამწვანებენ, ამ საქმეშიც ნიკო ძიას რჩევა ფასდაუდებელია. და როგორც ოჯახისაგან დამოუკიდებლად არ შეუძლია ფუტკარს იცხოვროს და იშრომოს, ისე ნიკო ძია რომ არ იყოს, ამ სოფელს თითქოს ცხოვრება არ შეუძლიაო.

დგას ჩვენს წინაშე უბრალო, თავმდაბალი კაცი, სახეზე კეთილი ღიმილით და როგორც ფუტკარი ყვავილებიდან ეზიდება ღალას, ნიკო ძიაც ხალხის გულებიდან იღებს უმაღლეს ჯილდოს — ადამიანურ სიყვარულს.

სტეფანე არღუნელი.

საზღვარგარეთ

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 12 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). ჟენევის თათბირის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც ს. ლოიდის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, დისკუსიის ცენტრში იყო საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებები დასავლეთ ბერლინისა და სრულიად გერმანიის კომიტეტის შესახებ. ეს წინადადებანი საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა 10 ივნისის სხდომაზე.

დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი თავიანთ გამოსვლებში ცდილობდნენ ახალი საბჭოთა წინადადებანი დაესახათ როგორც რაღაც „ულტიმატუმი“ და ამ წინადადებათა წინააღმდეგ წამოაყენეს მოსაზრებანი, რომელთაც საფუძვლად უდევთ დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილი შეინარჩუნონ და სამარადისო გახადონ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმი, რომელმაც მოჭამა თავისი დრო.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ თავის გამოსვლაში ზედმიწევნით გააანალიზა დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოსვლები.

მან განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები დაარწმუნონ საბჭოთა კავშირი დათანხმდეს იმაზე, რომ სამარადისო გახადოს საოკუპაციო წესები დასავლეთ ბერლინში, ამაოა და რომ საბჭოთა კავშირი ხელს ვერ მოაწერს რაიმე დოკუმენტს, რომელიც ასეთ მიზანს ისახავს.

მოდით, თქვა მან, გავითვალისწინოთ ის გარემოება; რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე თოთხმეტი წელი გავიდა და რომ მდგომარეობა შეიცვალა, და მოდით ვეძებოთ შეთანხმება რეალისტურ საფუძველზე. საბჭოთა კავშირის მხრივ, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ, დიდია სურვილი ხელი შეუწყოს ასეთი შეთანხმების მიღწევას. მაგრამ, თქვა მან, ყველაფერი როდია დამოკიდებული სსრ კავშირზე, ეს დამოკიდებულია თათბირის ყველა მონაწილეზე.

შეთანხმდნენ, რომ 15 ივნისს გაიმართება მინისტრთა არაოფიციალური შეხვედრა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ დარბაზობა მოაწყო

ჟენევა, 12 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლცმა დღეს თავის რეზიდენციაში მოაწყო დარბაზობა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე სსრ კავშირის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი, ი. ა. მალიკი, ა. ა. სმირნოვი, ა. ა. სოლდატოვი, ი. ი. ილიჩოვი, ლ. ე. სიომონჩუკი, ი. ნ. ზემსკოვი, ვ. მ. ხვოსტოვი, ო. პ. სელიანინოვი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ო. ვინცერი, გ. ტეპლიცი, პ. ფლორინი, ვ. მოისნერი და გ. კეგელი.

ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებენ საბერძნეთის ატომურ შეიარაღებას

ვაშინგტონი, 12 ივნისი. (საქდესი) გუშინ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს გაუგზავნა ტექსტი ამერიკა-საბერძნეთის შეთანხმებისა, რომლის მიზანია საბერძნეთის ატომური შეიარაღება. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, შეთანხმება ითვალისწინებს იმას, რომ საბერძნეთის ჯარებს ასწავლონ „ატომური იარაღის გამოყენება“, ნებას რთავს, რომ საბერძნეთს მიაწოდონ „ასეთი (ესე იგი ატომური) სისტემის შეიარაღების არაატომური ნაწილები და გადასცენ მას საიდუმლო ატომური ინფორმაცია“. საგულისხმოა, რომ ეს შეთანხმება ფაქტიურად არ მოითხოვს რატიფიკაციას კონგრესის მიერ და, როგორც იგივე სააგენტო იუწყება, „ავტომატურად შედის ძალაში 60 დღის შემდეგ, თუ მას ვეტო არ დაადო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ან სენატმა“.

იუწყება რა ამ შეთანხმების შესახებ, ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ცდილობს შენიღბოს მისი საშიში აზრი და ამ მიზნით ყურადღებას აპყრობს იმას, რომ „შეთანხმება არ შეიცავს ნებართვას ატომური იარაღის გადაცემის შესახებ“ საბერძნეთისათვის. თანდართულ წერილში კონგრესისადმი პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ყოველნაირად ხაზს უსვამს „ნატოს კავშირის თავდაცვითი ხასიათს“ და ამტკიცებს, რომ „საბერძნეთთან შეთანხმება საშუალებას მისცემს ამერიკის შეერთებულ შტატებს ეფექტიანად ითანამშრომლონ მასთან ერთობლივი თავდაცვის დაგეგმვაში“. მაგრამ ყველა ეს ცდა ვერ დაფარავს ამ აგრესიული ნაბიჯის ნამდვილ აზრს, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს ბალკანეთსა და მთელ მსოფლიოში.

ამერიკის დეპეშათა სააგენტო იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლმა გაავრცელა ახალი ჭორი, ვითომდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არის რაკეტების გასაშვები ბაზები. (გაზეთებიდან).



ომის მსურველს ზარბაზნებად
ეჩვენება ქარხნები,
რაკეტებად — თავთავები
და ბაზებად — სახლები.

სურს უკუღმა დატრიალდეს
ისტორიის ბორბალი
და ამიტომ მას ატომად
ელანდება ხორბალი.

იყურება სათვალით და
პეიზაჟი ეცვლება,
ფიქრობს, გალმა თუ იდავა,
მას გამოღმა შერჩება!

ნახ. ბ. ლომიძისა.

იაპონია პროტესტს აცხადებს

ტოკიო, 12 ივნისი. (საქდესი). იაპონიის მუშათა კლასი და მთელი დემოკრატიული საზოგადოებრიობა ფართო საპროტესტო მოძრაობას აჩაღებენ იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ გადასინჯვისა და შეერთებულ შტატებთან იაპონიის სამხედრო კავშირის გაძლიერების წინააღმდეგ. პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახლა რაზმავენ მშრომელებს და ემზადებიან, რათა გადაჭრით გამოვიდნენ რეაქციის გეგმების განხორციელების წინააღმდეგ.

როგორც გაზეთი „აკახატა“ იუწყება, ქალაქ ხიროსიმაში 10 ივნისს გაიმართა 5 პრეფექტურის — ოკაიამას, ხიროსიმას, იამაგუჩის, სიმანესა და ტოტორის წამყვან პროფკავშირთა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც მიეძღვნა მთავრობის მიერ დაგეგმილი „უშიშროების ხელშეკრულების“ გადასინჯვის ჩასაფუშავად მასების მობილიზაციის ამოცანებს.

იაპონიის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ სიძუოკას პრეფექტურაში მოიწვია იაპონიის სხვადასხვა პროფკავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეთა სპეციალური სემინარი, რომელზეც განიხილეს „უშიშროების ხელშეკრულების“ გაუქმებისათვის მოძრაობის ორგანიზაციის საკითხი.

აკიტას პრეფექტურაში და იაპონიის მთელ რიგ სხვა რაიონებში ბრძოლის ადგილობრივი საბჭოების ინიციატივით დაიწყო ხელმოწერის შეგროვება მოთხოვნაზე, რომ არ იქნას დაშვებული „უშიშროების ხელშეკრულების“ გადასინჯვა და იაპონიის ჩაბმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებში.

„უშიშროების ხელშეკრულების“ გადასინჯვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს 16 ივნისს საბჭოში შემავალი ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელთა ეროვნული კონფერენცია. განზრახულია 25 ივნისს მოეწყოს მუშათა, მოსამსახურეთა და სტუდენტი ახალგაზრდობის მიტინგები და გაფიცვები ხელშეკრულების განზრახული გადასინჯვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ბრძოლა იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ გადასინჯვის წინააღმდეგ და მოძრაობა მისი ლიკვიდაციისათვის, რასაც ამჟამად იაპონელი ხალხი აჩაღებს, ისეთსავე ფართო მასშტაბს იღებს, როგორც ეს იყო პოლიციის ფუნქციების გაფართოების კანონის გადასინჯვის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში.

ლაოსის პრობლემა უნდა გადაიჭრას

ხანოი, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს გაზეთი „ნიან ზანი“ ბეჭდავს სტატიას, რომელშიც გამოაშკარავებულია უსაფუძვლობა ინგლისის მთავრობის პოზიციისა, რომელიც მან დაიკავა ლაოსში შექმნილი მდგომარეობის გამო.

თუ დავიჯერებთ ინგლისის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებებს, წერს გაზეთი, ლაოსში ისეთი არაფერი ხდება, რომ საფრთხეს უქმნიდეს ინდოჩინეთის მშვიდობას, მაშასადამე, მათი აზრით, არც არის რაიმე საფუძველი იმისა, რომ მუშაობა განაახლოს ლაოსში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიამ.

ამავე დროს ყველამ კარგად იცის, მათ შორის ინგლისის მთავრობამაც, რომ ლაოსში შექმნილმა ვითარებამ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს, მეტად სერიოზული და საშიში ხასიათი მიიღო. ლაოსში იფეთქა სამოქალაქო ომმა. პარტია ნეო ლაო ხაკ სატის ხელმძღვანელები და ეროვნული კრების დეპუტატები, რომელნიც მშვიდობისა და ნეიტრალიტეტისათვის იბრძვიან, შინაპატიმრობაში იმყოფებიან; ყოველდღე ხდება პატრიოტ-ლაოს წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა და პროგრესულ პირთა მკვლელობა, დაპატიმრება და დევნა.

ამას წინათ დასავლეთ გერმანიის ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ შეერთებული შტატები და სანანიკონეს მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებენ ურთიერთშორის იმის შესახებ, რომ ლაოსში შეიქმნას რაკეტის გასაშვები მოედნები. ეს იმის ახალი დადასტურებაა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები და ლაოსის მთავრობა აპირებენ ძირი გამოუთხარონ მშვიდობას ინდოჩინეთში.

მშვიდობისა და შეთანხმების გზა

ბერლინი, 12 ივნისი. (საქდესი). საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი ჟენევის თათბირზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენის ყურადღების ცენტრშია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობას მიაჩნია, რომ ეს წინადადებანი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ საბჭოთა კავშირის გულწრფელ სურვილს საქმით დაეხმაროს სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრას.

ცნობილმა მეცნიერმა, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ საკითხთა გერმანული ლიგის თავმჯდომარემ პროფესორმა შტაინიგერმა ახალი საბჭოთა წინადადებანი დაახასიათა როგორც მკაფიო გამოხატულება საბჭოთა კავშირის პრინციპული და ამავე დროს ელასტიკური პოლიტიკისა, რომელსაც ახასიათებს მშვიდობის უზრუნველყოფისადმი მისწრაფება და შეთანხმების მიღწევისათვის მზადყოფნა.

როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე ვ. გაილმა აღნიშნა, საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი ცხადყოფენ, რომ იგი ნამდვილად მზად არის კომპრომისისათვის. მაშინ როცა დასავლეთის სახელმწიფოები, განაცხადა ვ. გაილმა, არ ავითარებდნენ თავიანთ თვალსაზრისს, საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანხმობით თავისი წინადადებით გზა გაუკვლია უმაღლეს დონეზე თათბირს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯებს გაცხოველებით უკეთებს კომენტარს ბერლინის დემოკრატიული პრესა. „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადება პარიტეტულ საწყისებზე სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის შესახებ გერმანიას უსახავს დიდ შესაძლებლობას. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ა. ა. გრომიკოს მიერ შეტანილი წინადადებანი შეესაბამებიან გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობის აზრს.

სოციალისტურ ქვეყნებში

ჩინეთი

ამ დღეებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმართება მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად.

დიდი მიტინგი გაიმართა ჩინეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრში—ქალაქ ტიანძინში. ტიანძინის მუშათა მრავალათასიანი რაზმის ყველა წარმომადგენელმა, რომელნიც მიტინგზე გამოვიდნენ, განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს.

* * *

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მდინარეებზე მრავალი ახალი მძლავრი ჰიდროსადგური შენდება. ცენტრალურ ჩინეთში მდინარე შანშუიზე, რომელიც იანძის შენაკადია, შენდება 900 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. მშენებლობის მაღალი ტემპები საშუალებას იძლევა ჰიდროელექტროსადგური ვადაზე ერთი წლით ადრე აიგოს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეორე მძლავრი ჰიდროელსადგურის მომავალი კაშხალის დაბეტონება მდინარე სინანძიანზე. მისი სიმძლავრე 650 ათასი კილოვატი იქნება.

ამა წლის დამლევისათვის პირველ დენს მისცემს სინფენშუის ჰიდროელსადგური გუანდუნის პროვინციაში (სამხრეთი ჩინეთი). ჰიდროტექნიკურ კვანძში შემავალი 11,5 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის დიდი წყალსაცავი შესაძლებლობას შექმნის მოირწყას 40 ათასი ჰექტარი მიწა.

უნგრეთი

ქალაქ კაპოშვარში ჩამოვიდა რკინიგზის შემადგენლობა, რომელმაც ჩამოიტანა „ბელორუსის“ ტიპის 119 ტრაქტორი. ეს ტრაქტორები დაამზადეს საბჭოთა მანქანათმშენებლებმა უნგრეთის სოფლის მეურნეობისათვის.

როგორც გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ იუწყება, უნგრეთის მთავრობის თხოვნით სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული მიწოდების გადამეტებით საბჭოთა კავშირიდან მოვა დიდძალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. კერძოდ, ივნისის დამლევისათვის უნგრეთი მიიღებს 250 საბჭოთა კომბაინს.

კორეა

ამას წინათ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრესამ გამოაქვეყნა რესპუბლიკაში საირიგაციო მშენებლობის შედეგები. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ სახალხო კორეის მშრომელებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ სარწყავი მიწების ფართობის გადიდებაში, ხუთ თვეში დაამთავრეს ცხრა ათასი დიდი და პატარა სარწყავი სისტემისა და ორი ათასი სხვა ობიექტის მშენებლობა. ამის შედეგად რესპუბლიკის სარწყავი ფართობი 350-მდე ათასი ჰექტარით გადიდდა.

ხუთ თვეში შესრულებული საირიგაციო სამუშაოები თავისი მოცულობით 3-ჯერ სჭარბობს იმას, რაც იაპონელთა ბატონობის 35 წლის განმავლობაში გაკეთდა. ამ სამუშაოთა მოცულობა უდრის განთავისუფლების შემდეგ 13 წლის განმავლობაში შესრულებულ საირიგაციო სამუშაოებს — 5 თვე უდრის 13 წელიწადს!

წელს სარწყავი მიწების ფართობი რესპუბლიკაში უკვე აყვანილია 800 ათას ტენბომდე (1 ტენბო — 0,99 ჰექტარი).

მოსალოდნელია, რომ სარწყავი მიწების ერთ მილიონ ტენბომდე გაფართოების პროგრამა, რაც ორი-სამი წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო, დამთავრდება წელს ან მომავალი წლის დამდეგს.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა უმოკლეს ვადაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს სათესი ფართობების გადიდების საქმეში. ამას ისინი უმადლიან კორეის შრომის პარტიას, რომლის მოღვაწეობა საირიგაციო სისტემის გაფართოებისათვის სავსებით უპასუხებს მშრომელი გლეხობის ძირეულ ინტერესებს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდ მუშაობას ეწევიან ბუნების გარდაქმნისათვის. ირიგაციის ფრონტზე მათ მიერ მოპოვებული გამარჯვება, უეჭველია, ახალ წარმატებებს წარმოშობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მონღოლეთი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სახლთმშენებლობას. შარშან იქ საექსპლოატაციოდ გადაეცა 4,5-ჯერ მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე მთელი პირველი ხუთწლედის განმავლობაში (1948-1952 წლები).

დიდი მშენებლობა მიმდინარეობს სასოფლო რაიონებში.

მონღოლი მშენებლები სულ უფრო ფართოდ იყენებენ შრომის პროგრესულ მეთოდებს, საბჭოთა სპეციალისტების გამოცდილებას. უახლოეს დროში ულან-ბატორში საბჭოთა კავშირის დახმარებით მწყობრში ჩადგება მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხანა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. სტარახოვიცეს სატვირთო მანქანების ქარხნის მიერ გამოშვებული სატვირთო ავტომობილები „სტარ“.
ფოტო პოლონეთის ცენტრალური ფოტო სააგენტოსი.

უცხოეთის ქრონიკა

◆ ლაიფციგში მიმდინარეობს თათბირი კოსმოლოგიის პრობლემებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ასტრონომები, ფიზიკოსები და ფილოსოფოსები.

◆ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით ბერლინს ჩავიდა შვედი პარლამენტარიების დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან შვეციის სოციალდემოკრატიული პარტიის, ცენტრის პარტიის — გლეხთა კავშირისა და კომპარტიის წევრები. შვედი პარლამენტარიები გაეცნობიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნალურ, სოციალურ და ეკონომიურ დაწესებულებათა მუშაობას.

◆ პრაღაში გაიმართა საბჭოთა ვიოლინისტ ოლღა პარხომენკოს კონცერტი. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა.

◆ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მიიღეს პერუს საპარლამენტო დელეგაცია.

◆ ადის-აბებაში უჩვენებენ საბჭოთა ფართოეკრანიან ფერად კინოფილმს „ცირკის მსახიობნი“.

◆ რეიტერის სააგენტო მადრიდიდან იუწყებოდა, რომ სამხედრო სასამართლომ 10 კაცს, რომელთაც ბრალად ედებათ კომუნისტური პარტიის წევრობა, მიუსაჯა სხვადასხვა ვადის პატიმრობა — 2-დან 10 წლამდე.

◆ თეირანის რადიოს ცნობით, გადადგა მთავრობის სამი წევრი: საგარეო საქმეთა მინისტრი ჰექმათი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბათმანკლიჩი, ვაჭრობის მინისტრი ნეისარი. მინისტრთა გადადგომა შახმა მიიღო. (საქდესი).

„ადენაუერის პოლიტიკის აღსასრული დგება“

კამათი დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგში

ბონი, 12 ივნისი. (საქდესის კორ.). დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგში დაიწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1959/1960 საფინანსო წლის ბიუჯეტის კანონპროექტის მესამე წაკითხვა. გაიმართა კამათი, მაგრამ იგი ეხებოდა არა ბიუჯეტის მუხლებს, არამედ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ადენაუერმა უარი განაცხადა კენჭი იყაროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

ადენაუერის ამ ნაბიჯმა, როგორც ცნობილია, სერიოზული უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია არა მარტო ოპოზიციურ წრეებში, არამედ მმართველი პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის/ქრისტიანულ-სოციალური კავშირის დეპუტატთა შორის.

ბუნდესტაგის სხდომაზე მკვეთრად გააკრიტიკა ადენაუერის პოზიცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ადენაუერის ეს ქცევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადების დროს ბღალავს „დემოკრატიული წესწყობილების საფუძვლებს“. პრაქტიკულად, განაცხადა მან, ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული წესწყობილებისადმი ნდობა გაცამტვერდა, ადენაუერი, ხაზი გაუსვა ორატორმა, თავდაპირველად მხოლოდ იმიტომ დათანხმდა კენჭი ეყარა პრეზიდენტის პოსტზე, რომ იმედი ჰქონდა ამ პოსტზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში და, კერძოდ, თავის ნებას უკარნახებდა ახალ კანცლერის არჩევნების დროს. კანცლერი უნდა ყოფილიყო ისეთი კაცი, რომელიც დაუჯერებდა მის მითითებებს. როცა ახლა უარი თქვა თავის თანხმობაზე, ადენაუერი, როგორც ორატორმა აღნიშნა, ხელმძღვანელობდა მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოტივებით, იმით, რომ ყოველ ვითარებაში შეინარჩუნოს ხელისუფლება. იგი მოქმედებდა პრინციპით: „სახელმწიფო მე ვარ“.

შემდეგ ოლენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ადენაუერის ერის პოლიტიკის აღსასრული დგება“. ახლა რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყოს ხალხის გამოკითხვა იმის შესახებ, დარჩეს თუ არა ადენაუერი კანცლერის პოსტზე, უდიდესი უმრავლესობა, ოლენჰაუერის რწმენით, წინააღმდეგ მისცემდა ხმას. „ტყუილია, — განაცხადა მან, — რომ ჩვენი ხალხის უმრავლესობა კვლავ მზად იყოს ყრუ დუმილითა და ბოლომით დაუბრუნდეს ერთი კაცის ბატონობის გზას“.

ადენაუერის დასაცავად ადვოკატური სიტყვა წარმოთქვა ბუნდესტაგის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის/ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარემ კრონემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემდგომშიც, ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკას განახორციელებენ უწინდელი ადამიანები.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ადენაუერმა. იგი ცდილობდა თავისი გადაწყვეტილება კანცლერის პოსტზე დარჩენის შესახებ გაემართლებინა ...„დემოკრატიული უფლებით“. მაგრამ მან აღიარა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო თავისი პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სურვილის წინააღმდეგ.

ი. ბორისოვი,
ბ. იურინოვი.

სახიფათო გზაზე

მაშინ როცა პროგრესული კაცობრიობა შეშფოთებას გამოთქვამს ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიებზე ამერიკის რაკეტული და ატომური ბაზების განლაგების გეგმების გამო, საბერძნეთის მმართველ წრეებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალების მოთხოვნით განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ საბერძნეთის ხალხისათვის ამ საშიში გეგმების განხორციელებას.

საბჭოთა ხალხი, სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად, დაინტერესებულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, გამალებული შეიარაღების შეწყვეტით და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებით. სწორედ ამიტომ, გაითვალისწინა რა საბჭოთა ადამიანების ეს კეთილშობილური სურვილები და მისწრაფებები, საბჭოთა მთავრობამ მიმდინარე წლის 13 მაისს სამახსოვრო ბარათით აუწყა საბერძნეთის მთავრობას თავისი უარყოფითი დამოკიდებულება საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის ატომური და რაკეტული ბაზების შექმნისადმი.

საბჭოთა მთავრობა სავსებით გარკვეულად აცხადებს, რომ „საბერძნეთის მთავრობის თანხმობა თავის ტერიტორიაზე ატომური და რაკეტული ბაზების განლაგებაზე მიჩნეული იქნება როგორც საბჭოთა კავშირისა და მშვიდობის შენარჩუნებისადმი მტრული აქტი, რომლის შედეგად სერიოზული ზიანი მოუვა საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის ურთიერთობას“.

საბჭოთა მთავრობის აზრით „ბალკანეთის ნახევარკუნძული შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს მშვიდობის ნამდვილი ზონა, ბალკანეთის სახელმწიფოთა მეგობრული თანამშრომლობის ზონა. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი ამ კეთილშობილურ საქმეს“.

საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბერძნეთის საზოგადოებრივ წრეებში. საბერძნეთის ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლებიც კი შეშფოთებას გამოთქვამენ საბერძნეთის მთავრობის ანტიეროვნული მოქმედების გამო.

ბერძენ ხალხს არა სურს ამერიკის ატომური ბაზები. მას არა სურს მონაწილეობა მიიღოს მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ძალთა სახიფათო გეგმების განხორციელებაში. ბერძენი ხალხი გადაჭრით გმობს საბერძნეთის ტერიტორიაზე ატომური და რაკეტული ბაზების შექმნის გეგმებს.

ამჟამად საბერძნეთი გადაქცეულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალების სამხედრო პლაცდარმად, რომელიც გამიზნულია საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ.

საბერძნეთის ხელისუფალთა ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად საბერძნეთი ჩათრეულია ახალი ომის მომზადებასთან დაკავშირებული ავანტიურისტული გეგმების ჭაობში. 1952 წელს საბერძნეთი შეყვანილ იქნა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში. 1953 წლის ოქტომბერში კი საბერძნეთის მთავრობამ ხელი მოაწერა საბერძნეთ-ამერიკის სამხედრო ხელშეკრულებას საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო და სახმელეთო ძალებისათვის ბაზების შექმნის შესახებ. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად საბერძნეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალებისათვის უკვე აშენდა და გაფართოვდა მრავალი საავიაციო ბაზა, საზღვაო ნავსადგური, ყაზარმები, გზები. ამ ხელშეკრულებით ამერიკელებმა განიმტკიცეს უფლება იყოლიონ საბერძნეთში თავიანთი შეიარაღებული ძალები.

1954 წელს საბერძნეთი გახდა ე. წ. ბალკანეთის ბლოკის მონაწილე. ამას წინათ კი საბერძნეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ლონდონის ხელშეკრულებას კუნძულ კვიპროსის საკითხზე, რომლის თანახმად კვიპროსელებს თვითგამორკვევის უფლება ეკარგებათ და კუნძული კვიპროსი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სტრატეგიული ბაზა ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთის საზოგადოებრიობა გმობს ლონდონის ამ ხელშეკრულებას. ამას ისიც ადასტურებს, რომ საბერძნეთის პარლამენტში ლონდონის ხელშეკრულების განხილვამ გამოიწვია ცხარე დავა, რომელიც მთავრობის მომხრე დეპუტატებსა და ლიბერალური პარტიის დეპუტატებს შორის ცემა-ტყეპად გადაიქცა.

საბერძნეთს ძვირად უჯდება ამერიკელ აგრესორებთან მეგობრობა და ომისათვის მზადება. მაგალითად, 1953-1958 წლებში სამხედრო მზადებისათვის მან დახარჯა 30 მილიარდ დრაჰმამდე, რაც ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს. ამერიკელებმა კი საბერძნეთში სამხედრო მშენებლობაზე 3 მილიარდ დოლარამდე დახარჯეს. ასეთი დიდი სამხედრო ხარჯები და ამერიკის იმპერიალისტთა ბატონობა დამღუპველ გავლენას ახდენს საბერძნეთის ეკონომიკაზე.

საბერძნეთის მშრომელებმა საბერძნეთის ხელისუფალთა ანტიეროვნული პოლიტიკისადმი თავისი დამოკიდებულება ნათლად გამოხატეს პარლამენტის არჩევნების დროს — 1958 წლის მაისში, როდესაც მიუხედავად პოლიციური ტერორისა, ამომრჩეველთა 60 პროცენტმა ხმა მისცა ისეთ პარტიებს, რომლებიც იბრძვიან საბერძნეთის ტერიტორიის სამხედრო პლაცდარმად გადაქცევის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიული უფლებებისათვის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საბერძნეთის ხელისუფალნი შეშფოთებული არიან მასების ბრძოლის გაძლიერებით. ისინი მიმართავენ ბერძენი ხალხის საუკეთესო შვილების, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა ორგანიზატორების დევნასა და ტერორს.

პროგრესული კაცობრიობა უდიდესი აღშფოთებით შეხვდა საბერძნეთის სახალხო გმირის მანოლის გლეზოსისა და სხვა ბერძენი პატრიოტების დაპატიმრებას. მანოლის გლეზოსს წაუყენეს ბრალდება, თითქოს მას კავშირი დაემყარებინოს საბერძნეთის კომუნისტური პარტიის არალეგალურ აპარატთან, საბერძნეთის მთავრობამ დიდი ხანია აკრძალა და „ჯაშუშურ“ ორგანიზაციად გამოაცხადა კომუნისტური პარტია. საბერძნეთის დემოკრატიული ძალები, რომლებიც თავიანთი სამშობლოს მშვიდობისა და ხალხის დემოკრატიული უფლებებისათვის იბრძვიან, გამოცხადებული არიან ჯაშუშებად, თითქოს ისინი სხვა სახელმწიფოთა ინტერესებისათვის მოქმედებენ.

ვინ არ იცნობს მ. გლეზოსს — ბერძენი ხალხის საუკეთესო შვილს, მის თავდადებულ ბრძოლას ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ შავბნელი ჰიტლერული ოკუპაციის დროს. ამერიკისა და ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისათვის საბერძნეთის რეაქციულმა წრეებმა გლეზოსს 1948 წელს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ პროგრესული კაცობრიობის აღშფოთებამ საბერძნეთისა და ამერიკის რეაქციული ძალები იძულებული გახადა ეს განაჩენი შეეცვალათ გლეზოსის სამუდამო პატიმრობით. 1951 წლის სექტემბერში ბერძენმა ხალხმა თავისი გმირი — მ. გლეზოსი აირჩია პარლამენტის დეპუტატად და იხსნა ის ჟანდარმერიის კლანჭებისაგან. დაპატიმრებამდე, 1958 წლის დეკემბრამდე ის მუშაობდა ერთიანი დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად და ამ პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ავგის“ დირექტორად, მამაცურად იცავდა მშრომელთა უფლებებს საბერძნეთის პარლამენტში. მიმდინარე წლის მარტში ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, პრესაში თავდადებული მოღვაწეობისათვის მ. გლეზოსი ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიით დააჯილდოვა. ის არჩეულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის საპატიო წევრად.

მთელი მსოფლიოს პროგრესული ორგანიზაციები, კულტურისა და მეცნიერების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, მთელი რიგი თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები გადაჭრით მოითხოვენ შეწყდეს რეპრესიები საბერძნეთის პატრიოტების მიმართ.

საბჭოთა ადამიანების გრძნობები ბერძენი პატრიოტებისადმი კარგად არის გამოხატული სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მიმართვაში საბერძნეთის საპარლამენტო ჯგუფისადმი. ამ მიმართვაში ნათქვამია, რომ „...საბერძნეთში გაჩაღებული რეპრესიები ქვეყნის პროგრესული ორგანიზაციებისა და მოღვაწეების წინააღმდეგ, დაპატიმრება და დასჯის მუქარა საბერძნეთის ეროვნული გმირის მ. გლეზოსის მიმართ, რამაც მთელ მსოფლიოში გამოიწვია პროტესტის დიდი ტალღა, ღრმად აღელვებს საბჭოთა ადამიანებს. ჩვენ ვერ გავჩუმდებით, როცა ფალსიფიცირებულ ბრალდებათა საფუძველზე თავს ესხმიან დემოკრატიისათვის იმ მებრძოლთა თავისუფლებასა და სიცოცხლეს, რომლებმაც ჯერ კიდევ ჰიტლერული თავდასხმის შავბნელ დღეებში უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის დასახსნელად სასიკვდილო საფრთხისაგან“.

მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ძალები სოლიდარობას უცხადებენ და მხარს უჭერენ ბერძენ პატრიოტებს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის სამართლიან ბრძოლაში. ისინი გმობენ საბერძნეთის რეაქციული წრეების მოქმედებას და მოითხოვენ განთავისუფლებულ იქნან გლეზოსი და სხვა დემოკრატები.

საბჭოთა ხალხი დიდი სიყვარულითა და სიმპათიით ეპყრობა ბერძენი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის. გადაჭრით გმობს საბერძნეთის რეაქციული ძალების აგრესიულ პოლიტიკას — საბერძნეთის ტერიტორიის რაკეტული და ატომური იარაღის ბაზად გადაქცევის ამერიკულ პოლიტიკას, რომელიც უაღრესად სახიფათო გზაზე აყენებს საბერძნეთს.

ამერიკელ და ბერძენ რეაქციონერებს არ ძალუძთ ჩაახშონ საბერძნეთის მშვიდობისმოყვარე ხალხის ურღვევი ნება.

გ. ჩიბურდანიძე.

სილამაზისა და სიჭაბუკის ზეიმი

II სპარტაკიადა 1959



(დასასრული)

მზის სხივებზე კიაფობს საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი. იგი მოაქვთ სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს ბ. ანტონოვსა და ზ. მახხანელს. ლამაზად ირხევა საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი, რომელიც უჭირავს მსოფლიო ჩემპიონს რ. აბაშიძეს, მას გვერდში უდგანან მ. ნინოშვილი და ქ. ქაჯაია.

მოედანზეა მედროშეთა დიდი კოლონა. მათ უკან ეხედავთ სპორტსმენთა ძველი თაობის წარმომადგენლებს — გ. ევნატაშვილს, გ. ჩიკვაიძეს, ბ. პაიჭაძეს, დ. იოსელიანს, ლ. ღუდუშაურს, მ. ბერძენიშვილს და სხვებს.

მწყობრი ნაბიჯებით შემოდიან სპარტაკიადის მონაწილეები — თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, გორის, რუსთავისა და ჭიათურის სპორტსმენთა კოლონები. სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გამწკრივებულია თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურელთა დიდი ჯგუფი.

პარადის კომანდორის ნ. სეფაშვილის პატაკის შემდეგ სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე. სპარტაკიადის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრეთვე სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის წარმომადგენელმა ა. კრივცოვმა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა მოაქვთ და აღმართეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ო. ქორქიამ, მ. ჯუღელმა, ნ. დვალიშვილმა, გ. შარაბიძემ, სპორტის ოსტატმა ნ. გვახარიამ და შ. ქველიაშვილმა. შესრულებულ იქნა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი.

საქართველოს მეორე სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება.

სპორტსმენები ტოვებენ მოედანს. მათ აცილებს თბილისელთა ერთსულოვანი ტაში.

დასავლეთ ტრიბუნის წინ არიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პიონერები. ისინი სპარტაკიადის გახსნის აღსანიშნავად თაიგულებს უძღვნიან მაყურებლებს, მშრომელებს. ქართული მუსიკის მელოდიებზე იწყება თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენთა მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლა. ნაირფერი სპორტული ფორმით ისინი ასრულებენ სხვადასხვა მიმზიდველ ვარჯიშს.

კომბინირებული ტანვარჯიშული იარაღებით მოედანზე შემოდიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები. ჯერ ქალები ასრულებენ რთულ ილეთებს ძელზე, ხოლო შემდეგ ვაჟები გამოდიან რგოლებზე ვარჯიშით. სარბენ ბილიკზე მოწყობილ ღერძზე ოსტატურად შეასრულეს ვარჯიში საქართველოს ჩემპიონმა რ. კაჭახიძემ და ნ. გრიგოლაშვილმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები შეცვალეს რგოლებით თავისუფალი ვარჯიშის შემსრულებელმა ქალებმა, რომლის ფინალს წარმოადგენდა სპორტის ოსტატის მ. ნინოშვილის გამოსვლა თავისუფალი ვარჯიშით.

საერთო მოწონება დაიმსახურა შრომითი რეზერვების სპორტსმენთა მასობრივმა ვარჯიშმა, რომელსაც თან ახლდა აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლები.

სპორტის მოყვარულები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ მოტომრბოლელებს— სპარტაკიადის ჩემპიონებს, რომლებმაც დაამთავრეს შეჯიბრება და კარგ შედეგს მიაღწიეს.

შორიდან მოისმის ვერტმფრინავის მოტორის გუგუნი. მალე იგი ნელ-ნელა ეშვება საფეხბურთო მოედანზე და ჩამოკიდულ რგოლებით ზევით აჰყავს სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე, რომელიც ჰაერში ასრულებს რგოლებზე ეფექტურ ვარჯიშს. ამ სანახაობამ საერთო მოწონება დაიმსახურა.

* * *

მიმდინარეობს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები.

მაგიდის ჩოგბურთი, ხუთჭიდი, ფრენბურთი

სასპორტო საზოგადოება „განთიადის" დარბაზში რამდენიმე დღეა გრძელდება მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა. ფინალური ბრძოლის შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული. გუნდური ასპარეზობის საბოლოო შედეგები ასეთია: პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა, რომელმაც 4 ქულა შეაგროვა, მეორე — ქუთაისის გუნდმა (2 ქულა), მესამე — აჭარის მაგიდის ჩოგბურთელთა კოლექტივმა (1 ქულა).

ხუთჭიდელთა სტარტს ახასიათებდა დაძაბულობა. როგორც მოსალოდნელი იყო პირველ ჯგუფში დაწინაურდნენ თბილისელი სპორტსმენები, რომლებმაც 3.000 ქულა შეაგროვეს. მეორე ადგილზეა აჭარის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — ქუთაისის გუნდი. პირად ასპარეზობაში კარგი შედეგები მოეპოვებათ მურომცევს, გვასალიასა და როგავას.

გუშინ დაიწყო ფრენბურთელთა ასპარეზობა. გუნდები გაყოფილია 2 ჯგუფად. პირველი ჯგუფის გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: ქუთაისი — აჭარა (ვაჟთა გუნდები) 3:2, თბილისი — აფხაზეთი 3:0; ქალთა გუნდები — თბილისი — ქუთაისი 3:0, აფხაზეთი — აჭარა 3:0.

მოტოსპორტი, ჭადრაკი, კრივი

მოტოშეჯიბრებას რამდენიმე დღე ჰქონდა დათმობილი. სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სხვადასხვა მოცულობის ცილინდრიანი მანქანებით. შეხვედრები დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით. მათვე თავი ისახელეს პირად ასპარეზობაში. მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის გუნდი, მესამეზე — ქუთაისის მოტომრბოლელები.

ჭადრაკში პირველი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. წინ არიან თბილისელები, რომელთაც 8 ქულა აქვთ, აჭარის გუნდს 6 ქულა აქვს, აფხაზეთისას — 3 ქულა, ქუთაისისას — 1 ქულა.

მოკრივეთა პირველი შეხვედრის შემდეგ დაწინაურდნენ თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები.

გრძელდება შეხვედრები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, ცურვაში და სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სხვა სახეობებში.

საერთო მაჩვენებლები

სპარტაკიადის პროგრამა სპორტის 24 სახეობას მოიცავს. პირველ ჯგუფში, სადაც გაერთიანებულია თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდები 13 ივნისამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით სპარტაკიადის ლიდერები არიან თბილისელი სპორტსმენები, რომლებსაც 34 ქულა აქვთ. 18,5 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება ქუთაისის გუნდი, მესამე ადგილზეა — აჭარა (16,5 ქულა).

მეორე ჯგუფში (აქ გამოდიან სამხრეთ ოსეთის, ფოთის, გორის, რუსთავისა და ჭიათურის გუნდები) წინ არიან რუსთავის სპორტსმენები.

სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. გაბელია.

* * *

სურათზე: საქართველოს მეორე სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სასპორტო მოედნები

⊙ თბილისში, ვაკეში, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე შენდება ზამთრის საცურაო აუზი. იგი მომავალ წელს დამთავრდება. აქ მიმდინარეობს აგრეთვე სტადიონის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია სასწავლო მიზნებისათვის. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ფიზკულტურის პარკში დაიწყება სასპორტო დარბაზის მშენებლობა ძალოსნების, მოჭიდავეების, მოკრივეებისა და შტანგისტებისათვის.

⊙ დიდი სტადიონი 10 ათასი მაყურებლისათვის და საცურაო აუზი წყალში სახტომი 10-მეტრიანი კოშკით შენდება ქალაქ ჭიათურაში.

⊙ რესპუბლიკის ბევრ რაიონში შენდება სტადიონები და მიმდინარეობს არსებული მოედნების აღდგენა და კეთილმოწყობა, მაგალითად ჩოხატაურში, ბორჯომში, ტყიბულში— სამ-სამი ათასი, ახალქალაქის რაიონში — 2 ათასი, გურჯაანის რაიონში 5 ათასი მაყურებლისათვის.

დარტყმა!.. არის!..

ფოტოეტიუდი გ. გოგოხიასი.

მადო რობენის კონცერტზე

12 ივნისს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა გამოჩენილი ფ რ ა ნ გ ი მომღერლის, პარიზის ოპერის სოლისტის მადო რობენის პირველი სოლო კონცერტი, რომელშიც შედიოდა პოპულარული არიები ოპერებიდან „ლაკმე", „რიგოლეტო", „ლუჩია დი ლამერმური", „ბრაზილიური მარგალიტი", „ჟანეტას ქორწინება", „თეატრის დირექტორი", „პურიტანები", „სევილიელი დალაქი" და სხვ. იტალიელი და ფრანგი კომპოზიტორების მთელი რიგი ვოკალური ნაწარმოებები, აგრეთვე რუსი კომპოზიტორის ალიაბიევის „ბულბული".

გუშინ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მუსიკალურმა სექციამ მადო რობენს მოუწყო გულთბილი შეხვედრა.

დ. გველესიანი.

მადო რობენი.

ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

მოგვყავს საქართველოს 1959 წლის პირველობის ფინალში გამარჯვებულის ოსტატ ბ. გურგენიძისა და რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის ა. ბლაგიძის პარტია, რომელიც მე-12 ტურში გათამაშდა.

ფრანგული დაცვა

ბ. გურგენიძე (თეთრები) — ა. ბლაგიძე (შავები)

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 c5 5. a3 კ:c3+ 6. b:c3 ლc7 7. ლg4 (გათამაშდა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. თეთრებმა გააკეთეს სვლა, რომელსაც ნაკლებად იყენებენ და დებიუტის მიხედვით იერიში ვერ განავითარეს მეფის ფლანგზე. უფრო ხშირად აქ თამაშობენ 7. მf3) 7... f5 8. ლg3 c:d4 9. c:d4 მe7 10. კd2 0—0. 11. კd3 b6 12. მe2 კa6 13. მf4 ლd7 14. 0—0. ამ სვლის ნაცვლად უფრო საყურადღებო იყო 14. კ:a6 მ:a6 15. ლd3 მb8 16. h4, როგორც ეს ნათამაშევი იყო ს. რეშევსკი—მ. ბოტვინიკის პარტიაში (ჰააგა—მოსკოვი, 1948 წ.), რაც ქმნიდა თეთრების სასარგებლო მწვავე და შესაძლებლობებით მდიდარ პოზიციას. 14... კ:d3 15. ლ:d3 ეc8 16. ეae1 მg6 17. მh5 ლa4 18. c3 მd7 (მოწინააღმდეგეები თავს უყრიან ძალებს შეტევის მოსამზადებლად: თეთრები მეფის ფლანგზე, შავები—ლაზიერის ფლანგზე). 19. g4?! (თეთრები მომზადების დაუმთავრებლად იწყებენ სწრაფ შეტევას. უმჯობესი იყო წინასწარ ეთამაშათ 19. ლh3 და თუ შემთხვევა მიეცემოდათ დამუქრებოდნენ g7-ზე მხედრის მეწირვით). 19... f:g4? (შავებმა უხეში პოზიციური შეცდომა დაუშვეს. საჭირო იყო 19... ეf8, რითაც უკეთეს პოზიციას მიიღებდნენ). 20. h3! g:h3 21. ლ:h3 ეc6 22. f4 ლc2 23. ეe2 ეf8 24. f5!

(ბ. გურგენიძემ ოსტატურად გამოიყენა შავების შეცდომა. შესანიშნავი სვლით და შემდგომი მანევრებით იგი საბოლოოდ ანადგურებს მოწინააღმდეგის პოზიციას). 24... e:f5 25. e:f5 e:f5 (თურმე ლაზიერით აღება „f5"-ზე არ შეიძლება, რადგან ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრების პაიკი „e" შეუჩერებლივ მიიწევს წინ. მაგრამ ამას ახლა სხვა მოულოდნელობა მოსდევს). 26. ლg2! ეe6 27. მ:g7! ეe7 (მხედრის აღება არ შეიძლება, რადგან ლაზიერი დაიკარგება). 28. მh5 ლd1+ 29. მf2 მf8 30. ლ:d5+ ეe6 31. ლb7 ეe7 32. ლd5+ ეe6 33. ლg2 მf7 34. ლb7+ მe7 35. მf4 ეh6 36. ლg2 მfg6 37. e6+ მg8 38. d5 (თეთრების ძლიერი გამსვლელი პაიკები თამაშის ბედს წყვეტენ). 38... მh5 39. d6 d:f4 40. კ:f4 ეg6 41. კe5+ მg8 42. ლa8×.

ბ. გურგენიძემ ლამაზად განავითარა შეტევა.

* * *

1959 წლის 23 მაისს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული № 2 ამოცანის (ავტორი ი. კრიხელი) გადაწყვეტა ასეთია: 1. ლd3—c2!

ამ ამოცანის სწორი ამოხსნა გამოგზავნეს: ა. ბერძენიშვილმა, ს. ფორაქიშვილმა, დ. შულაიამ, ა. ხუბუნაიამ, ს. გოზალიშვილმა, გ. ბარბაქაძემ, თ. ქაჯაიამ (თბილისი), ნ. რუსაძემ, შ. სვანიძემ, ა. შარიქაძემ (ქუთაისი), ე. ნატროშვილმა, შ. სუხიშვილმა, ო. ჯეირანაშვილმა, შ. ერაძემ, ე. და ნ. სულთანიშვილებმა (რუსთავი), გ. მჭედლიძემ, ა. იაგანაშვილმა (თელავი), მ. კინწურაშვილმა, რ. ბერაიამ, რ. კუტუბიძემ (ცხაკაია), ფ. ბეროშვილმა, დ. ჩუგოშვილმა (გურჯაანი), რ. ქირთბაიამ (ს. ოტობაია), ლ. გაგლოევმა (აგარა), ე. სამხარაძემ (ს. ბორითი), გ. ხუნდაძემ (ს. საჯამიასერი), ე. ხარაბაძემ (მცხეთა), გ. შეყილაძემ (ჭიათურა), შ. გერყელიძემ (მახარაძე), მ. კოგიაძემ (ს. მუხურა), მ. კურტანიძემ (დაბა ორჯონიკიძე), ზ. ღონღაძემ (ს. კორბოული), ი. იმერლიშვილმა (ს. ბრილი), პ. ცუცქირიძემ (ს. ხალიფაური), გ. მჟავანაძემ (ს. როხი), ი. ჭოლაძემ (ს. ბახვი), ც. გორგაძემ (ზესტაფონი), გ. კვარაცხელიამ, ბ. სალიამ (ს. ჯგალი), მ. ხეთაგურმა (სტალინგრადი), რ. მიქაუტაძემ (ამბროლაური), მ. გახარიამ (ს. ოდიში).

№ 3 ამოცანის (ავტორი ი. კრიხელი) გადაწყვეტა ასეთია: 1. ლd5—a5!

ამოცანის სწორად ამოხსნა გამოგზავნეს: ა. ბერძენიშვილმა, ს. ფორაქიშვილმა, დ. შულაიამ, ა. ხუბუნაიამ, ს. გოზალიშვილმა, გ. ბარბაქაძემ, თ. ქაჯაიამ (თბილისი), ნ. რუსაძემ, შ. სვანიძემ, ა. შარიქაძემ (ქუთაისი), შ. გერყელიძემ (მახარაძე), შ. სუხიშვილმა, ო. ჯეირანაშვილმა, შ. ერაძემ, ე. და ნ. სულთანიშვილებმა (რუსთავი), რ. ქირთბაიამ (ს. ოტობაია), ლ. გაგლოევმა (აგარა), ე. სამხარაძემ (ს. ბორითი), რ. კუტუბიძემ, მ. კინწურაშვილმა, რ. ბერაიამ (ცხაკაია), გ. ხუნდაძემ (ს. საჯამიასერი), დ. ჩუგოშვილმა (გურჯაანი), გ. მჭედლიძემ (თელავი), ე. ხარაბაძემ (მცხეთა), ზ. ნოზაძემ, ზ. ღონღაძემ (ს. კორბოული), პ. ცუცქირიძემ (ს. ხალიფაური), გ. მჟავანაძემ (ს. როხი), ი. ჭოლაძემ (ს. ბახვი), ც. გორგაძემ (ზესტაფონი), მ. ხეთაგურმა (სტალინგრადი), რ. მიქაუტაძემ (ამბროლაური).

№ 1 ამოცანის ამოხსნა დამატებით გამოგზავნეს: მ. ბურდულმა (ფოთი), შ. სუხიტაშვილმა (გორი), ლ. ჩიქობავამ (ცხაკაია), გ. შეყილაძემ (ჭიათურა), ა. ცაგანაშვილმა (თელავი), ვ. ხურციძემ (ს. დიხაშხო).

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

ქართველი მწერლები ფოთში

ქართველ მწერალთა ბრიგადა სტუმრად ეწვია კოლხიდის ზღვისპირა ქალაქ ფოთს. ბრიგადის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, მწერლები დ. შენგელაია, ე. ზედგინიძე, მ. ასათიანი, პოეტები მარიჯანი, კ. ჭიჭინაძე, ი. ნონეშვილი, ა. თევზაძე და თ. ჭილაძე.

მწერლებმა ორი დღის განმავლობაში დაათვალიერეს ფოთის ნავსადგური, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი, პირველი და მეორე საშუალო სკოლები, გაეცნენ შრომისმოყვარე ადამიანთა საქმიანობას, ესაუბრნენ წარმოების ნოვატორებს, შვიდწლედის გმირებს, მოსწავლე ახალგაზრდობას.

ქალაქის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სტუმრებთან ფოთის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. მანაგაძემ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე ყრილობის დადგენილების მიხედვით მისი განვითარების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ბ. ჟღენტი.

მწერლებს ქალაქის მშრომელთა სახელით მიესალმნენ მასწავლებლები: პ. ნაცვლიშვილი, თ. ჩხარტიშვილი, ექიმი კ. გუნია, ნავსადგურის მეამწე, დამწყები ავტორი ა. დავითაია. სტუმრებმა წარმოთქვეს სიტყვები და წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

კ. კომახიძე.

ყვავილები ეკრანზე

ოპერატორ ბორის კრეპს ჩვენი მაყურებელი იცნობს როგორც მთის პეიზაჟების გადაღების უბადლო ოსტატს. ვისაც უნახავს მის მიერ გადაღებული კავკასიონისა და პამირის მწვერვალების ამსახველი კადრები, არასოდეს არ დაავიწყდება მთების სილამაზე — უფსკრულები თუ ყინულოვანი სასახლეები, აქაფებული მდინარეები თუ ნისლით შებურვილი თოვლიანი მწვერვალები...

ახლა კი ნიჭიერმა ოპერატორმა კინოობიექტივისათვის სულ სხვა თემა აირჩია. ბუნების უმშვენიერეს და ულამაზეს ქმნილებებს — ყვავილებს მიუძღვნა თავისი ბოლო ნ ა მ უ შ ე ვ ა რ ი, ფერადი კინონარკვევი „ყვავილთა გამოფენა", რომელიც ქრონიკულ-დოკუმენტური და მეცნიერულ - პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ გამოუშვა.



მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება თაბორის ყვავილებით შემკული ფერდობები, ყაყაჩოებითა და ფერადი გვირგვინებით მოფენილი მინდვრები, ნაირნაირი მცენარეებით შემკული თბილისის ბოტანიკური ბაღი... მაგრამ ყველაზე მეტი სილამაზე ყვავილების გამოფენაზეა. ეკრანზე ერთიმეორეს ცვლის ათასფრად შემკული ყვავილთა სახეები, ჩვენი ქვეყნის, თუ შორეული აფრიკისა და მექსიკის მკვიდრები, თბილისის მიდამოების მცენარეები.

აგერ ყვავილთა მესაიდუმლე ცნობილი მხატვარი — დეკორატორი მიხეილ მამულაშვილი. მისი ხელით მორთული ყვავილთა კუთხე. ფილმში ბევრ და ლამაზ ყვავილს გაეცნობა მაყურებელი. აი თუნდაც ვენერას ქოში, გვირგვინებით შემკული წყალკრეფია ვარდის მეტოქე იორდა-სალამი, მსოფლიოში ულამაზესი სახე ზამბახისა — ქართული ზამბახი და ბოლოს ყვავილთა დედოფალი — ვარდი.

ლამაზია ყვავილები ბუნებაში, მშვენიერი და არანაკლებ ლამაზია ეკრანზე. სწორედ ეს არის ოპერატორის დამსახურება.

ფილმის წარმატებას დიდად უწყობს ხელს შ. შონიას პოეტური ტექსტი. ამ პატარა ფილმს სიამოვნებით ნახავს მაყურებელი.

ლ. ხუგულური.

* * *

სურათზე: კადრები ფილმიდან.

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს კონკურსს პროფესორ-მასწავლებელთა შემდეგ საშტატო თანამდებობათა დასაკავებლად:

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა

1. პოლიტეკონომია — დოცენტის 0,5 საშტატო ერთეული
2. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი—დოცენტის 0,5 საშტატო ერთეული

სახვითი ხელოვნების ისტორია

1. ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე — პროფესორის ან დოცენტის 1 საშტატო ერთეული
2. სახვითი ხელოვნების ისტორია — დოცენტის 1 საშტატო ერთეული.
3. ქალაქთა მშენებლობისა და არქიტექტურის ისტორია — პროფესორის 0,5 საშტატო ერთეული

ხატვის კათედრაზე

1. ხატვა — პროფესორის ერთი საშტატო ერთეული

ფერწერის კათედრაზე

1. ფერწერა — პროფესორის 1 საშტატო ერთეული
2. ფერწერა — დოცენტის ერთი საშტატო ერთეული

გრაფიკის კათედრაზე

1. გრაფიკის კათედრის გამგე — პროფესორის 1 საშტატო ერთეული
2. სპეციალური კომპოზიცია — დოცენტის 1 საშტატო ერთეული

ქანდაკების კათედრაზე

1. ქანდაკება — პროფესორის ერთი საშტატო ერთეული
2. ქანდაკება — დოცენტის 0,5 საშტატო ერთეული

კერამიკის კათედრაზე

1. მხატვრული კერამიკის კათედრის გამგე — პროფესორის 1 საშტატო ერთეული
2. კერამიკული კომპოზიცია და მასალაში მუშაობა — დოცენტის 1 საშტატო ერთეული
3. კერამიკული კომპოზიცია და მასალაში მუშაობა — დოცენტის 0,5 საშტატო ერთეული

არქიტექტურის კათედრაზე

1. არქიტექტურული პროექტირება — დოცენტის 1 საშტატო ერთეული
2. სამშენებლო მასალები, წარმოება — დოცენტის 0,5 საშტატო ერთეული

პლასტიკური ანატომიის კათედრაზე

1. პლასტიკური ანატომია — პროფესორის 0,5 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები ორი ფოტოსურათით და დოკუმენტებით შემოტანილ უნდა იქნას სამხატვრო აკადემიის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის ნოტარიულად შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხზე დამტკიცების ნოტარიულად შემოწმებული პირები. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია, რეცენზიები და მათზე გამოთქმული აზრები ან ცნობები შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის მისამართი: ქალ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 22.

ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთა საყურადღებოდ:

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთებით მოგებათა გაცემის ვადა გადის 1959 წლის 30 ივნისს.

საქართველოს სსრ 1959 წლის ფულისა და ნივთების ოთხივე გამოშვების ლატარიის ბილეთებით მოგებათა გაცემა იწარმოებს 1960 წლის 30 ივნისამდე.

შეამოწმეთ თქვენი ლატარიის ბილეთები, მიიღეთ მოგება!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:

განყოფილების გამგე — 1 საშტატო ერთეული,

ლაბორატორიის გამგე — 2 საშტატო ერთეული,

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2,5 საშტატო ერთეული.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ბ) ავტობიოგრაფია, გ) უმაღლესი განათლების დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, დ) ნოტარიალურად დამოწმებული ასლები საბუთებისა სამეცნიერო წოდების და ხარისხის შესახებ, ე) პარტიული და სამსახურებრივი დახასიათება, ვ) სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათზე.

განცხადებების შეტანის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი 15, ზოია რუხაძის ქ. № 1, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი.

რადიო

14 ივნისი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთის „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 11.30 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.45 — სიმღერები პოლოხეთის ქალთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ოცი ძმა", 14.45 — საუბარი: „სისუფთავე და ჯანმრთელობა" (მიკროფონთან — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარულ ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმი ლ. საყვარელიძე), 15.00 — გადაცემა აზერბაიჯანისა და სომხეთის რადიომსმენელებისათვის, კონცერტი-საუბარი: „ნ. სულხანიშვილი", 15.40 — გადაცემა ციკლიდან — „სატირა და იუმორი", 16.15 — გადაცემა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის, 17.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 17.45 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.00 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 19.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 21.00 — ფრანგი მომღერლის მადო რობენის კონცერტის ტრანსლაცია კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან.

მეორე პროგრამით

21.00 ლიტერატურული გადაცემა რადიომსმენელთა თხოვნით. ო. ჭილაძის პოემის „ქეთევა ქვათაძის" რადიოინსცენირება, 22.20 — მ. ამირანაშვილის, ზ. ანჯაფარიძის და შ. კიკნაძის კონცერტი.

ტელევიზია

14 ივნისი

დღისით

გადაცემა მოსწავლეთათვის

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.15 — ახალი ქრონიკულ-დოკუმენტური ფილმი „არაჩვეულებრივი შეხვედრები", 13.15 — სატელევიზიო ლექტორიუმი — „მინდა ყველაფერი ვიცოდე".

საღამოს

19.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.45 — კინოჟურნალი, 19.55 — ზ. ფალიაშვილის ოპერა აბესალომ და ეთერი" (ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან).

თბილისის თეატრებსა და კინოებში

14 ივნისი

ოპერისა და ბალეტის — დარეჯან ცბიერი, (დღისით, მე-5 აბონემენტის მე-6 წარმოდგენა), აბესალომ და ეთერი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ტაიფუნი (დღისით), 100 ათასი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ორი ფერი (დღისით), ქარიშხალი (საღამოს), **სანკულტურის** — იუპიტერი იცინის.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — დეზერტირი, **ამირანი** (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე** (საზაფხულო) **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — მისი დიდი გული, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ატამანი კოდრი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **საქართველო** (საზაფხულო) — ლილეია, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, სპარტაკი, ისანი** (საზაფხულო), **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კომუნარების ბაღი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო)—წარსული ზაფხული, **უჟბეგი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის** (საზამთრო) — ისინი იცნობდნენ ერთმანეთს, **ოფიცერთა სახლი** — კინოკომედიების ფესტივალი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის—3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 01909 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2